

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL - DAVID AGHMASHNEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**



**საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის
სტატუსი და მისი მნიშვნელობა სტაბილურობისათვის**

**GEORGIA'S EU MEMBERSHIP CANDIDATE STATUS AND
ITS IMPORTANCE FOR STABILITY**



**სამხედრო პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE MILITARY-PRACTICAL CONFERENCE**

გორი, 2024

სსიპ-ღავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

**LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**



საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის
სტატუსი და მისი მნიშვნელობა სტაბილურობისათვის

სამხედრო პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული

ბოდი, 2024

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

გენერალი მამია ბალახაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი არაბული

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი

ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი

ნიკოლოზ სამხარაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების პროფესორი

არჩილ ჩაჩხიანი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ნინო ოხანაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასისტენტ პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

2024

ISBN-978-9941-8-6897-9

ვიცე პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი
ლევან ნიკოლეიშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი
ქეთევან ჩახავა	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ პროფესორი
პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი
გიორგი კბილცეცხლაშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად აბუთიძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსი ბურდულაძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
ნანი არაბული	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

რომეო გალდავა	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი კაკაშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ლევან ჭოლიკიძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ხელმძღვანელი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი
რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
თინათინ ჟორჟოლიანი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
შალვა კვეზერელი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გივი დუჩიძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
რედაქტორი/კორექტორი ზურაბ მჭედლიშვილი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამარ კანდელაკი	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Brigadier General Mamia Balakahdze

Rector of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili

Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Lieutenant Colonel Giorgi Arabuli

Head of MA Program of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Arkadi Antia

Head of Defence Analysis Program of MA, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Samkharadze

Professor of Defense Analysis Program of MA,, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Archil Chachkhiani

Associate Professor of Defence Analysis Program of MA, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nino Okhanashvili

Assistant Professor of Defence Analysis Program of MA, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Levan Gozalishvili

Head of the Security Studies Program of MA, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

**LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF
GEORGIA 2024
ISBN-978-9941-8-6897-9**

Levan Nikoleishvili	Professor of Security Studies Program of MA, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chakhava	Assistant Professor of Security Studies Program of MA, LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Jaba Zaloshvili	Head of State Resource Management Program of MA, LEPL–David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kbiltsetskhlashvili	Professor of State Resource Management Program of MA, LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Acting head of the Baccalaureate at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Zviad Abutidze	Acting Chief of the Baccalaureate program in informatics at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Aleksi Burduladze	Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nani Arabuli	Associate Professors of Informatics Program of Baccalaureate of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Romeo Galdava	Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kakashvili	Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Cholikidze	Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	Head of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chiabrishvili	Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Jorjoliani	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shalva Kvezereli	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Givi Duchidze	Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	Head of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Kveselava

Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL -
David Aghmashenebeli National Defence Academy of
Georgia

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili

Editor-in-Chief of the Scientific-Research Center of LEPL
- David Aghmashenebeli National Defence Academy of
Georgia

Computer Designer

Tamar Kandelak

Chief specialist of the Scientific-Research Center of LEPL
- David Aghmashenebeli National Defence Academy of
Georgia

სარჩევი

მასტერ-სერჟანტი ზაზა დავითაშვილი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები.....	13
ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში	18
პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი საქართველოს გზა ევროკავშირის წევრობისკენ: გამოწვევები, პროგრესი და პერსპექტივები -----	39
მასტერ-სერჟანტი თორნიკე ბურჯალიანი საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე.....	50
უფროსი სერჟანტი ნოე თევზაძე საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები	58
უფროსი სერჟანტი პაატა ღორჯომელაძე ევროკავშირის მნიშვნელობა საქართველოს სტაბილურობისათვის	65
უფროსი სერჟანტი რაჯი ბერიძე საქართველო და ევროკავშირი	72
უფროსი სერჟანტი სპარტაკ ბრეგვაძე საქართველოს და ევროკავშირის პოლიტიკური ურთიერთობები	81
ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია საქართველოსა და ევროპის ურთიერთობების ისტორიული ანალიზი და მიმდინარე პროცესების პერიპეტიები	87
უფროსი სერჟანტი რამინ ებრალიძე ევროკავშირის გავლენა საქართველოს სტაბილურობის განვითარებაზე.....	104
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე..	113
უფროსი სერჟანტი ზურაბ ზაზაძე საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური ასპექტები.....	128
ვიცე-პოლკოვნიკი ზვიადი აბუთიძე ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის გავლენა საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ გარემოზე	133
ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი ჯანიაშვილი საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობა და გაწევრიანების პროცესის გამოწვევები	146

Contents

Master Sergeant Zaza Davitashvili	
Georgia-European Union Relations and Prospects-----	13
Lieutenant Colonel Levan Gozalishvili	
The EU Candidate Status and Its Importance in The Process of Peaceful Settlement of Georgia's Conflicts.....	20
Colone Jambul Zaloshvili	
Georgia's Road to EU Membership: Challenges, Progress, and Prospects	40
Master sergeant Tornike Burjaliani	
EU candidate status and its importance for the stability of Georgia-----	51
First Sergeant Noe Tevzadze	
Georgia's relationship with EU-----	59
First sergeant Paata Gorjomeladze	
The Importance of EU For The Stability Of Georgia-----	66
First sergeant Spartak Bregvadze	
Political Relations of Georgia and the EU	82
Lieutenant-Colonel Arkadi Antia	
Historical analysis of relations between Georgia and Europe and vicissitudes of current processes.....	89
Senior Sergeant Ramin Ebralidze	
The Influence of European Union Candidate Status on the Social and Political Environment of Georgia-----	104
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	
The impact of EU candidate status on Georgia's economic growth-----	115
Senior Sergeant Zurab Zazadze	
Political aspects of Georgia-EU-----	129
Lieutenant Colonel Zviadi Abutidze	
The Influence of European Union Candidate Status on the Social and Political Environment of Georgia-----	134
Lieutenant Colonel Irakli Janiashvili	
Georgia's relations with the European Union and the challenges of the accession process-----	147

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები

მასტერ-სერჟანტი ზაზა დავითაშვილი
გიორგი ანჭუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია
სერჟანტთა მომზადების სამეთაურო-საშტაბო კურსი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს საქართველოს მიერ ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ის იკვლევს მრავალმხრივ გავლენას საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ლანდშაფტზე. ეს ნაშრომი ასევე იკვლევს ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიულ კონტექსტს, ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ეტაპებს, როგორცაა ასოცირების შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა. პოლიტიკურად, კანდიდატის სტატუსს შეუძლია გააძლიეროს დემოკრატიული ინსტიტუტები, გააძლიეროს მმართველობა და გააძლიეროს კანონის უზენაესობა ევროკავშირის სტანდარტების დაცვით. ნაშრომი ასევე განიხილავს გეოპოლიტიკურ შედეგებს, მათ შორის საქართველოს სტრატეგიულ პოზიციონირებას რუსეთის მიმართ და მის როლს რეგიონულ სტაბილურობაში. ამ ელემენტების ანალიზით ნაშრომი სრულყოფილ მიმოხილვას იძლევა ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულელებით საქართველოს პროგრესისა და კანდიდატის სტატუსის მიღწევის პერსპექტივების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, დემოკრატია, კანდიდატის სტატუსი.

Georgia-European Union Relations and Prospects

Master Sergeant Zaza Davitashvili
Academy of Sergeants named after Giorgi Ankhelidze
Command and staff training course for sergeants

Abstract

This paper examines Georgia's pursuit of candidate status for membership in the European Union. It delves into the multifaceted impacts on Georgia's political, economic, and social landscape. This paper also explores the historical context of EU-Georgia relations, highlighting significant milestones such as the Association Agreement and the Deep and Comprehensive Free Trade Area. Politically, candidate status could bolster democratic institutions, enhance governance, and solidify the rule of law through adherence to EU standards. The paper also examines the geopolitical ramifications, including Georgia's strategic positioning vis-à-vis Russia and its role in regional stability. By analyzing these elements, the paper provides a comprehensive overview of Georgia's progress towards EU integration and the prospects of achieving candidate status.

Keywords: European Union, Georgia, democracy, candidate status.

შესავალი

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 30 წლიან კავშირს ითვლის; ისტორიას ახსოვს წლები, როცა საქართველო, ნაბიჯ-ნაბიჯ გადადიოდა ერთი ეტაპიდან უფრო მაღალ მნიშვნელოვან ეტაპზე. აღსანიშნავია 2023 წლის 14 დეკემბერი, როდესაც ევროკავშირში შემავალი ქვეყნებიდან 27-მა წევრმა თანხმობა განაცხადა, რომ საქართველოს მინიჭებოდა კანდიდატის სტატუსი.

ძირითადი ნაწილი

აღსანიშნავია, რომ, როდესაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა „Tweet“-ზე ამცნო საქართველოს კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ, საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთს ულოცავდნენ ამ ღირსშესანიშნავ დღეს და გაუჩნდათ იმედი, რომ მათ ცხოვრებაში დაიწყებოდა ახალი ეტაპი და საქართველო, როგორც უძველესი ისტორიის, კულტურისა და ქრისტიანული რელიგიის მატარებელი ქვეყანა ცალსახად დამსახურებულად დაიკავებდა იმ ადგილს, რომლის ნაწილიც იყო და საითკენაც ჰქონდა აღებული გეზი.¹

წევრობის კანდიდატის სტატუსი ევროკავშირამდე მისასვლელ უდიდეს გზაზე პირველი ეტაპია, თუმცა აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სტატუსის მქონე ქვეყნებს არ აქვთ გარანტია იმისა, რომ ევროკავშირის წევრები ოდესმე გახდებიან, ამასთან გასათვალისწინებელია გაწევრიანებისთვის საჭირო დროც. მაგალითისთვის რომ ავიღოთ, სერბეთი და მონტენეგრო, ბალკანეთის ორი ქვეყანა უკვე 10 წელზე მეტია, რაც მოლაპარაკებებშია ჩართული და ამ ეტაპზეც არ არსებობს მათი ევროკავშირში გაწევრიანების გარანტია და არც არაფრის იმედს აძლევენ. ჩრდილოეთ მაკედონიას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი უკვე მთელი 17 წელია აქვს, ალბანეთს კი 8 წელი და არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაში წევრობის შესახებ მოლაპარაკებები ამ დრომდე არ დაწყებულა. თუმცა, ჩვენ

¹ კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული სარგებელი - Infocenter.gov.ge (გადამოწმებულია 15.07.24.)

მაინც უნდა ვისაუბროთ იმ დადებით ფაქტორებზე, რომლებიც თან ახლავს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მოპოვებასა და მთელ ამ მოვლენებს.

„საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანა და წევრ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხია“² -აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, საქართველოს პარლამენტში ინტერპელაციის წესით გამოსვლის დროს.

ხოლო, როდესაც ევროკავშირის ელჩს მიმართეს კითხვით, თუ რას ნიშნავდა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი, მან მეტად საინტერესო პასუხი გასცა: „დავიწყებ იმით, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს მოსახლეობის მიერ მისი ევროპული მომავლის ძლიერი მხარდაჭერის აღიარება.“³ ამბობს ევროკავშირის ელჩი, რითაც კიდევ ერთხელ მადლიერია იმით, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრობისთვის ნელ-ნელა დგამს ნაბიჯებს, რაც მათთვისაც ძალიან სახარბიელო და სასიხარულოა.

შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა, თუ რას მოგვცემს კანდიდატის სტატუსი? მიგვაჩნია, რომ სტატუსის მოპოვებით ევროკავშირი გვაღიარებს და დაინახავს, რომ საქართველოს აქვს სურვილი და იმის პოტენციალი, რათა გაწევრიანდეს ევროკავშირში. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის ჯერ-ჯერობით არ არის მზად, და მითითებული რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში, მას მიეცემა იმის საშუალება, რომ შეუერთდეს ევროკავშირს ოფიციალურად. ასე რომ, ეს არის ევროკავშირის მხრიდან ასეთი აღიარების ფორმა. შესაძ-

² <https://mfa.gov.ge/news/830372-ilia-darchiashvili-saqartvelostvis-kandidatis-statusi-minitcheba-evrokavshirshi-gatsevirianebis-politikis-prioritetuli-amotsana-da-tsevr-qveknebtan>

³ მთავარი არხი · Mtavari Arkhi 20 მარტი ·

[https://www.facebook.com/TvMtavari/posts/pfbid0317cAATEGbzWwSWNfmKmp1a5RLqbRoahdSUDjTd2j1VCiwYPxcuyNPXb91xXBCKPyl?_cft__\[0\]=AZVjhrxx4zdemstp7WlHyj8QvvpZSiqYzPuf3mAWfYzOYpDStY1xoEgwY2uteX0kU26lpntwXpy965e5pBla0PcmRIC1D7Mn1p_QLhW7ke4412YmDbYCXb_id4fj6XciHIN8KwrJhmZoAHeuHt4XnVPBaXy1Cqo14b55e3AviQDH2VDdfb92G9xWVG9pBnvnOS4&_tn_=%2CO%2CP-R](https://www.facebook.com/TvMtavari/posts/pfbid0317cAATEGbzWwSWNfmKmp1a5RLqbRoahdSUDjTd2j1VCiwYPxcuyNPXb91xXBCKPyl?_cft__[0]=AZVjhrxx4zdemstp7WlHyj8QvvpZSiqYzPuf3mAWfYzOYpDStY1xoEgwY2uteX0kU26lpntwXpy965e5pBla0PcmRIC1D7Mn1p_QLhW7ke4412YmDbYCXb_id4fj6XciHIN8KwrJhmZoAHeuHt4XnVPBaXy1Cqo14b55e3AviQDH2VDdfb92G9xWVG9pBnvnOS4&_tn_=%2CO%2CP-R)

ლებელია, რომ შემდეგი ეტაპი იქნება უკვე უამრავი კანდიდატი ქვეყნისთვის სასურველი - „წევრობა.“

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური აღიარების გარდა, ამ სტატუსით ევროკავშირი ფინანსური წვდომის გარანტიასაც მოგვცემს (business media, თ. გ.). აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე სახელმწიფოებმა სამეზობლო განვითარების ფონდიდან შესაძლებელია 19 მილიარდიანი დაფინანსებაც კი მიიღონ, ეს ყოველივე კი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეიძლება მოხმარდეს. გარდა ამისა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირის 11 საგანმანათლებლო პროგრამაზე ხელმისაწვდომობა აქვთ კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებს; ამ პროგრამებიდან საქართველოში მოქმედებს მხოლოდ რამდენიმე, ერთ-ერთი სწორედ სტუდენტებისა და ლექტორებისთვის ცნობილი „Erasmus+“ ის პროგრამა გახლავთ. სხვა უფრო პერსპექტიული და დაფინანსებული პროგრამები ქართველ სტუდენტებს დაეხმარებათ, რომ მიიღონ უკეთესი განათლება და შემდეგ ეს განათლება მოახმარონ საკუთარი ქვეყნის მომავალ განვითარებას, იცხოვრონ ევროპულ გარემოში-მეტი პერსპექტივითა და მეტი სამუშაო გამოცდილებით.

ასევე, თუ ჩვენ სამომავლო პერსპექტივებზე ვსაუბრებთ, აქ უკვე გაწეული დახმარებებიც უნდა გავიხსენოთ და არ დავივიწყოთ, რომ ევროკავშირი საქართველოს უდიდესი მხარდამჭერი და დონორია 1992 წლიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ კანდიდატის სტატუსისა და მეტიც, წევრობის შემდეგ, უფრო მეტ მხარდაჭერას მივიღებთ ევროკავშირის მხრიდან.

დასკვნა

ამ ყველაფრის გათვალისწინებითა და შეჯამებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატის სტატუსის მიღება საქართველოს მოსახლეობისა და ზოგადად, ქვეყნისათვის დიდ გამარჯვებას წარმოადგენს, ვინაიდან გვეხსნება გზა ფართო, წინ ევროპისკენ, წინ განვითარებისა და უამრავი შესაძლებლობისკენ. თუმცა ზეიმამდე ჯერაც სამწუხაროდ ბევრი გვიკლია, რადგან ქართველი ხალხისა და ზოგადად,

ქვეყნის უპირველესი მიზანი ევროკავშირის წევრობაა და არა კანდიდატობაზე შეჩერება. თუმცა ეს დასაწყისია, წინ დიდი ბრძოლა და თავდადება გველოდება, რომელსაც ქართველი ხალხი აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს. ჩვენ აუცილებლად ვიხილავთ საქართველოს ისეთს, როგორც გაუხარდებოდით დიდ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და სხვა უამრავ ისეთ საზოგადო მოღვაწეს, რომელთაც გული შესტკიოდათ ქართველი ხალხისა და საქართველოს მომავალზე.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://infocenter.gov.ge/blog/kandidatis-statusis-mnishvneloba-da-misi-praktikulisargebeli/>

<https://mfa.gov.ge/news/830372-ilia-darchiashvili-saqartvelostvis-kandidatis-statusiminiatcheba-evrokavshirshi-gatsevrianebis-politikis-prioritetuli-amotsana-da-tsevrqveknebtan>

მთავარი არხი • Mtavari Arkhi 20 მარტი.

[https://www.facebook.com/TvMtavari/posts/pfbid0317cAATEGbZWrSWNfmKmp1a5RLqbRoahdSUDjTd2j1VCiwYPxcuyNPXb91xXBCKPyl?_cft__\[0\]=AZVjhrxx4zdemstp7WIHyj8QvpZSiqYzpUf3mAWfyzOYpDStJY1xoEgwY2uteX0kU26IzpntwXpy965e5pBla0PcmRIC1D7Mn1p_QLhW7ke4412YmDbYCXb_id4fJ6XcIHIN8KwrJhmZoAH_euHt4XnVPBaXy1Cqo14bS5e3AviQDH2VDdfb92G9xWG9pBnvnOS4&_tn_=%2CO%2CP-R](https://www.facebook.com/TvMtavari/posts/pfbid0317cAATEGbZWrSWNfmKmp1a5RLqbRoahdSUDjTd2j1VCiwYPxcuyNPXb91xXBCKPyl?_cft__[0]=AZVjhrxx4zdemstp7WIHyj8QvpZSiqYzpUf3mAWfyzOYpDStJY1xoEgwY2uteX0kU26IzpntwXpy965e5pBla0PcmRIC1D7Mn1p_QLhW7ke4412YmDbYCXb_id4fJ6XcIHIN8KwrJhmZoAH_euHt4XnVPBaXy1Cqo14bS5e3AviQDH2VDdfb92G9xWG9pBnvnOS4&_tn_=%2CO%2CP-R)

business media, თ. გ.

<https://formulanews.ge/News/65803>

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი

აბსტრაქტი

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, თუ რა როლი აქვს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი **გადამწყვეტია** საქართველოში არსებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების **მშვიდობიანად მოგვარების საკითხში**. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზა სავსეა გამოწვევებით, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მოაქვს რამდენიმე პოტენციური სარგებელი, რაც სავარაუდოდ დადებითად აისახება შერიგების პროცესზე. ესენია: ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება, საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავება, სტაბილურობის შენარჩუნება, ინსტიტუციური რეფორმები და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა. აღნიშნულ ფაქტორებს შეუძლიათ რეზონანსი მოახდინონ აფხაზ და ოს მოსახლეობაში, აგრეთვე მშვიდობისთვის უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნისათვის, რომელიც მიმართული იქნება დიალოგისა და შერიგებისაკენ.

ზემოთ ხსენებულთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღიარებაც, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება არ იქნება მარტივი, რადგან რუსული ფაქტორი რეგიონში თავისი ინტერესებით მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოშობს. რუსეთის გავლენა კონფლიქტებზე და მისი პოტენციური მცდელობები-ძირი გამოუთხაროს საქართველოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციის პროცესს, მუდამ იყო და მომავალშიც იქნება აქტუალური.

საქართველო დიდი ხანია ცდილობს დაიბრუნოს კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე, შესაძლოა, დასუსტებულმა რუსეთმა საქართველოს მისცეს შესაძლებლობა აღადგინოს ქვეყნის სუვერენიტეტი. უკრაინის კონფლიქტმა გადაიტანა რესურსები და ყურადღება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან. უკრაინაზე ფოკუსირებით, რუსეთს სავარაუდოდ გაუჭირდება ამ რეგიონებზე კონტროლის შენარჩუნება. უკრაინის ომი თანდათანობით ასუსტებს რუსეთის სამხედრო ძალებს და რესურსებს. საერთაშორისო ზეწოლა და ეკონომიკური სანქციები დიდი ალბათობით კიდევ უფრო დაასუსტებს რუსეთის პოზიციებს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში. შესაბამისად, რუსეთის დასუსტებასთან ერთად, საერთაშორისო პარტნიორების დახმარება საქართველოს მისცემს საშუალებას მოაგვაროს არსებული კონფლიქტები.

ჩვენის აზრით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსმა შესაძლოა გამოიწვიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების უფრო დიდი საერთაშორისო აღიარება. გაზრდილი საერთაშორისო ყურადღება ფაქტობრივად მოახდენს ზეწოლას კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეზე, რათა მოძებნონ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზები. ეს გაზრდილი ცნობიერება და დასავლეთის პოტენციური ინტერვენცია შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ მოვლენად აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის. ამ პერსპექტივით, ერთის მხრივ, დასავლეთმა შესაძლოა აიძულოს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დასუსტებული რუსეთი, ხელი არ შეუშალოს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და მეორეს მხრივ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და მისი პერსპექტივები მიმზიდველი გახადოს აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის.

საბოლოოდ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებზეც საქართველოს შეუძლია ფოკუსირება, კერძოდ: ეკონომიკური განვითარების გაძლიერება, ინკლუზიური დიალოგისა და მოლაპარაკებების ხელშეწყობა, ევროკავშირის არსებული ჩარჩოებისა და მექანიზმების გამოყენება, სოციალური ინტეგრაციისა და შერიგების პროგრამების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება ევროკავშირში ინტეგრაციის სარგებელისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობის შესახებ, ევროკავშირის ინსტიტუტებთან ღია და უწყვეტი დიალოგის შენარჩუნება.

აღნიშნული მიმართულებების ფოკუსირებით, საქართველოს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის სტატუსი, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, ეკონომიკური და სოციალური განვითარება, პარტნიორობის გაღრმავება, ინვესტიციები, რესურსების მობილიზება.

The EU Candidate Status and Its Importance in The Process of Peaceful Settlement of Georgia's Conflicts

Lieutenant Colonel Levan Gozalishvili

David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia
Chief of Master Program in Security Study

Abstract

The main goal of the article is to explain the role of Georgia's EU candidate status in the process of peaceful conflict resolution. The results of the research show that the status of a candidate for the European Union is decisive for the peaceful settlement of the conflicts in Abkhazia and Tskhinvali region in Georgia. Although the path to peaceful conflict resolution in Georgia is fraught with challenges, Georgia's EU candidate status brings several potential benefits that are likely to have a positive impact on the reconciliation process. These are: economic and social development in the country, deepening of international partnership, maintaining stability, institutional reforms and the prospect of joining NATO. The aforementioned factors can resonate with the Abkhazian and Osian populations, potentially creating a more peaceful environment, conducive to dialogue and reconciliation.

Along with the above, it is also important to recognize that the peaceful resolution of the conflict will not be easy, because the Russian factor with its interests in the region creates significant obstacles. Russia's influence in conflicts and its potential attempts to undermine the process of Georgia's integration in the Euro-Atlantic organizations have always been and will be relevant in the future.

Georgia has been trying to regain control over Abkhazia and South Ossetia for a long time, and perhaps, due to the Russia-Ukraine war, a weakened Russia will give Georgia the opportunity to restore the country's sovereignty. The conflict in Ukraine diverted resources and attention from Abkhazia and the Tskhinvali region. By focusing on Ukraine, Russia may find it difficult to maintain control over these regions, especially if it faces internal and external pressures. The war in Ukraine is gradually weakening Russia's military forces and resources. International pressure and economic sanctions may further weaken Russia. Accordingly, along with the weakening of Russia, the assistance of international partners will probably allow Georgia to resolve the existing conflicts.

Assumptions and results are also presented. EU candidate status may lead to greater international recognition of the conflicts in Abkhazia and the Tskhinvali region. Increased international attention may put pressure on all parties involved in the conflict to seek peaceful solutions. This increased awareness and potential Western intervention can be seen as a positive development for the Abkhazian and Ossetian population. This prospect, on the one hand, Russia, weakened by the Russia-Ukraine war, not to interfere with the peaceful resolution of conflicts, and on the other hand, make the status of a candidate for the European Union attractive to the Abkhazian and Ossetian population.

Final part provides, recommendations for Georgia to follow, namely: strengthening economic development; promotion of inclusive dialogue and negotiations; use of existing frameworks and mechanisms of the European Union; promotion of social integration and reconciliation programs; conducting public awareness raising campaigns about the benefits of EU integration and the importance of peaceful conflict resolution; Maintaining an open and continuous dialogue with EU institutions. By focusing on the mentioned policies, Georgia can effectively use the EU candidate status in the process of peaceful conflict resolution.

Keywords: EU status, peaceful resolution of conflicts, economic and social development, partnership engagement, investments, resource mobilization.

შესავალი

საქართველო, ევროპასა და აზიას შორის მოქცეული ქვეყანა, განვითარებისა და მშვიდობის დამყარების პროცესში კრიტიკულ ეტაპზე იმყოფება. ამჟამად, მას აქვს შესაძლებლობა, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მეშვეობით გააძლიეროს თავისი ეკონომიკური სტაბილურობა და სოციალური განვითარება. ეს სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ არ უზრუნველყოფს დაუყოვნებლივ წევრობას, არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროკავშირში სრული ინტეგრაციისკენ. საქართველოსთვის ეს სტატუსი წარმოადგენს გადამწყვეტ ნაბიჯს ევროინტეგრაციის გზაზე. ამ სტატიაში განვიხილავთ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობას კონფლიქტების მოგვარების კონტექსტში და მის გავლენას ქვეყნის მომავალზე.

უპირველესად აღსანიშნავია საქართველოს გზა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებამდე. კერძოდ, 2022 წლის მარტში საქართველომ ოფიციალურად მიმართა ევროკავშირს გაწევრიანებასთან დაკავშირებით.¹ ევროკომისიამ შეაფასა საქართველოს განაცხადი, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. შედეგად, 2023 წელს საერთაშორისო ურთიერთობების ასპარეზზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რადგან საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი.² როგორც ევროკავშირის კანდიდატი, საქართველო იძენს გაზრდილ დიპლომატიურ ბერკეტს სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობაში. ევროკავშირის მხარდაჭერა აძლიერებს საქართველოს პოზიციას კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.

ამის ნათელი მაგალითია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები. აღნიშნულ დისკუსიებს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმებთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ 2008 წლის კონფლიქტის შედეგად წარმოშობილ გამოწვევებში.

¹ [Consilium - Georgia, 2022 წ.](#)

² ევროკომისია, 2023 წ.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ხელს უწყობს საქართველოს, რათა კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი დემოკრატიული ინსტიტუტები. სტატუსი არა მხოლოდ მისი პროგრესის აღიარებაა, არამედ კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიული ინსტრუმენტია. ევროკავშირის ღირებულებების დაცვით და საერთაშორისო სისტემაში დიალოგში აქტიური ჩართულობით, საქართველოს შეუძლია წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ საქართველოს უსაფრთხოების მდგრადობაში, არამედ რეგიონულ სტაბილურობაშიც კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების მიმართულებით. ქართველი ხალხის უწყვეტი ვალდებულება და ევროპელი ლიდერების მუდმივი მხარდაჭერა განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს ევროკავშირში.

ევროკავშირი მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს კანდიდატ ქვეყნებს, რათა მხარი დაუჭიროს მათ რეფორმებს და ხელი შეუწყოს მათ მომზადებას პოტენციური წევრობისთვის.³ უფრო მეტიც, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი აძლიერებს საქართველოს სტრატეგიულ პოზიციებს გლობალურ ასპარეზზე. საქართველო, როგორც კანდიდატი ქვეყანა სტრატეგიული მდებარეობით, საშუალებას იძლევა გააღრმავოს ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან. საქართველოს შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული ჩართულობის ბერკეტები, მათ შორის კონფლიქტების მოგვარებაში აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან (ე.წ. სამხრეთ ოსეთთან).

სტატუსი ნიშნავს ქვეყნის ერთგულებას ევროპული ღირებულებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისადმი. საქართველოს შემთხვევაში, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვება შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი რეგიონში კონფლიქტების მოგვარებისკენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი გადამწყვეტია საქართველოში არსებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში.

³ ევროკომისია, 2023 წ.

ძირითადი ნაწილი

ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა დადებითი გავლენა იქონიონ საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესზე

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მაგრამ მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის გზა კვლავ სავსეა გამოწვევებით. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი საქართველოს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს დააჩქაროს თავისი განვითარება.

საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებთან დაკავშირებით, რთული და მრავალმხრივი საკითხია. თუმცა, რამდენიმე ასპექტს აქვს დადებითი გავლენა პროცესზე, რაც პირველ რიგში გამომდინარეობს საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსიდან.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ეკონომიკური განვითარება და სოციალური სტაბილურობა, რაც ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას მოჰყვება, აღნიშნულმა კი შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კონფლიქტების მოგვარებაზე. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი სავარაუდოდ მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს.⁴

მოსალოდნელია, რომ საქართველო, როგორც კანდიდატი ქვეყანა, ევროკავშირის რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისად განვითარდება, რაც მას ევროპული ბიზნესისთვის კიდევ უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს.

ასევე აღსანიშნავია ევროკავშირის ფინანსურ დახმარება. ეს დაფინანსება შეიძლება გამოყენებულ იქნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად ინფრასტრუქტურის გასაახლებლად, ასევე განათლების გასაუმჯობესებლად და საქართველოში ინოვაციებისა და მეწარმეობის გასაძლიერებლად, რაც გადამწყვეტია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის.

⁴ European Commission, 700 final, Brussels, 2013.

გარდა ეკონომიკური განვითარებისა, ევროკავშირის წევრობის პერსპექტივას აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი საქართველოს სოციალური განვითარებისთვის. კერძოდ, ევროკავშირის კოპენჰაგენის კრიტერიუმები ანუ ძირითადი მოთხოვნები ევროკავშირის წევრობის მსურველი ქვეყნებისთვის, ხაზს უსვამს სტაბილური ინსტიტუტების მნიშვნელობას, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და უმცირესობების პატივისცემასა და დაცვას.⁵ ამ ღირებულებებისადმი ევროკავშირის ერთგულება მნიშვნელოვანი იყო მის წევრ ქვეყნებში სოციალური განვითარების ხელშეწყობის კუთხით, რაც ხელს უწყობს თანასწორობას, ინკლუზიურობას და სოციალურ სამართლიანობას.⁶

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საქართველოზე გამოყენებისას, ევროკავშირის კანდიდატობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ქვეყნისთვის ძლიერი სტიმული, რათა გაძლიერდეს სოციალური ინფრასტრუქტურა და ხელი შეეწყოს სოციალურ ერთიანობას. თავისი სოციალური პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან მორგებით, საქართველო, სავარაუდოდ, იხილავს გაუმჯობესებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. უფრო მეტიც, ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი მოითხოვს უმცირესობათა უფლებებისადმი ყურადღების გაზრდას და უფრო ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობას.⁷ საბოლოოდ აღნიშნული ფაქტორები საქართველოში ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ამასთანავე სოციალურ სტაბილურობას. შესაბამისად, საქართველოს გახდის უფრო მიმზიდველს აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის. შესაძლოა მათ გამოთქვან საქართველოსთან შეერთების სურვილი, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.⁸ ერთ-ერთი მარტივი მაგალითია საქართველოს მოქალაქის პასორტის და ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რუსული პასპორტის სიძლიერის შედარება. საერთაშორისო ინდექ-

⁵ European Commission. (1993).

⁶ European Union. (2012).

⁷ Nodia, Ghia. 2017.

⁸ International Crisis Group, 2013.

სის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ, ან საზღვარზე მიღებული ვიზით, ან ელექტრონული ვიზით მგზავრობა მსოფლიოს 129 ქვეყანაში შეუძლიათ, მათ შორის ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ასე შემდეგ. რაც შეეხება რუსეთის პასპორტის მფლობელებს, მათ ასევე შეუძლიათ თითქმის იგივე, 123 ქვეყანაში მოგზაურობა,⁹ თუმცა მთავარი განსხვავება ამ შემთხვევაში რეგიონებშია. სანქციებიდან გამომდინარე, რუსეთის პასპორტის მფლობელებს, არა აქვთ უფლება უვიზოდ ან თუნდაც ვიზით იმოგზაურონ ევროპაში. აღნიშნული გარემოება, ცალსახად უარყოფითად აისახება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებზე, შესაბამისად, მათ დიდი ალბათობით მოუწევთ გადახედონ რუსეთთან სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივებს.

შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტი-საერთაშორისო პარტნიორობაა. საქართველოს ევროკავშირის კანდიდატობა, სავარაუდოდ, გააღრმავებს საერთაშორისო პარტნიორობის ჩართულობას რეგიონში. ევროკავშირს და მის წევრ ქვეყნებს აქვთ საკუთარი ინტერესი მათ სამეზობლოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. შესაბამისად, მათ შესაძლოა უფრო აქტიური როლი შეასრულონ კონფლიქტის მხარეებს შორის მოლაპარაკებებისა და შუამავლობის ხელშეწყობაში.¹⁰ ეს ასევე შეიძლება მოიცავდეს რუსეთზე დიპლომატიური ზეწოლის განხორციელებას, რათა შეზღუდოს მისი ჩარევა რეგიონში.

ევროკავშირს აქვს მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის მრავალწლიანი ტრადიცია მის წევრ ქვეყნებს შორის. ის მნიშვნელოვანი იყო პოსტკონფლიქტური სახელმწიფოების გაერთიანებაში ინტეგრირებისთვის და სტაბილური დემოკრატიული სისტემისკენ წარმართვაში. მაგალითად, ხორვატიის წარმატებული ინტეგრაცია ევროკავშირში იუგოსლავიის ომების შემ-

⁹ . გიორგი არონია, *Busines Media*2023.

¹⁰ *European External Action Service*, 2023.

დგომ ადასტურებს ევროკავშირის როლს კონფლიქტების მოგვარებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში.¹¹

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსმა შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს ქვეყნის სტაბილურობაზე. ევროკავშირში გაწევრიანების მკაცრი კრიტერიუმები საჭიროებს არსებითი რეფორმების გატარებას, რომლებიც მიზნად ისახავს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ადამიანის უფლებების გაუმჯობესებას და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას.¹² ამ რეფორმებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი საქართველოს პოლიტიკურ სტაბილურობას, შეამციროს შიდა კონფლიქტებისადმი მიდრეკილება და ხელი შეუწყოს უფრო მშვიდობიანი საზოგადოების მშენებლობას. ასეთი რეფორმები არა მხოლოდ დააკავშირებს საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან, არამედ კონფლიქტების გამომწვევ ზოგიერთ მიზეზსაც შეამცირებს.

უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი, როგორცაა ერთიან ბაზარზე ხელმისაწვდომობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, შეიძლება გადაიზარდოს სოციალურ სტაბილურობაში. ეკონომიკური კეთილდღეობა ხშირად იწვევს სოციალური დამაბულობის შემცირებას და სოციალური ერთობის გაზრდას, როგორც ეს ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაშია დადასტურებული.¹³

გარდა ამისა, ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ევროკავშირის ერთგულებამ კოლექტიური თავდაცვისა და კონფლიქტების პრევენციის მიმართ შეიძლება უზრუნველყოს საქართველოს საჭირო მხარდაჭერა უსაფრთხოების საფრთხეების მოსაგვარებლად და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.¹⁴ თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევრო-

¹¹ Ramet, Sabrina P., and Vjeran Pavlaković, eds. 2008.

¹² Hill, Christopher. 1993.

¹³ Kahanec, Martin, and Klaus F. Zimmermann, eds. 2016.

¹⁴ Biscop, Sven. EU grand strategy: 2008.

კავშირის კანდიდატის სტატუსი არ იძლევა სტაბილურობის გარანტიას. საქართველოში სტაბილურობის რეალური რეალიზება დამოკიდებული იქნება ქვეყნის ვალდებულებაზე განახორციელოს საჭირო რეფორმები და ხალხის მზადყოფნაზე შეეგუოს ევროკავშირში ინტეგრაციის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსიდან გამომდინარე, სტაბილურობის პოტენციალი არსებითია, ის არ არის ავტომატური ან გარანტირებული. ამას დასჭირდება საქართველოს მხრიდან მნიშვნელოვანი ძალისხმევა და ევროკავშირის მუდმივი მხარდაჭერა. თუმცა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სტაბილურობის დადასტურებული გამოცდილება იძლევა საქართველოში სტაბილურობის ხელშეწყობის ოპტიმიზმის მყარ საფუძველს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც ევროკავშირში ინტეგრაციის კომპანიონი. მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის წინააღმდეგობა, ის ასევე შეიძლება იყოს შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუშლის კონფლიქტების შემდგომ ესკალაციას.¹⁵

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზა სავსეა გამოწვევებით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს მოაქვს რამდენიმე პოტენციური სარგებელი, რამაც შეიძლება დადებითად იმოქმედოს პროცესზე. კერძოდ, ეკონომიკური და სოციალური განვითარება, საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავება, სტაბილურობის შენარჩუნება, ინსტიტუციური რეფორმები და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა ხელს უწყობს მშვიდობისათვის უფრო ხელსაყრელ გარემოს. აღნიშნულ ფაქტორებს შეუძლიათ რეზონანსი მოახდინონ აფხაზ და ოს მოსახლეობაში, პოტენციურად ხელსაყრელი გარემო შექმნან დიალოგისა და შერიგებისთვის.¹⁶ თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება არ იქნება მარტივი, რადგან რუსული

¹⁵ NATO, 2023.

¹⁶ კახა გოგოლაშვილი, 2016.

ფაქტორი რეგიონში თავისი ინტერესებით მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოშობს. რუსეთის გავლენა კონფლიქტებში და მისი პოტენციური მცდელობები ძირითადი გამოუთხაროს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს, არ შეიძლება იგნორირებულ იქნას.¹⁷ შესაბამისად, აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ შემდეგ თავში.

რუსეთის როლი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე

რუსეთი დიდი ხანია ინარჩუნებს ინტერესს სამხრეთ კავკასიის მიმართ, პირველ რიგში მისი სტრატეგიული მდებარეობისა და რესურსების გამო. ეს ინტერესი ხშირად გამოიხატებოდა რეგიონში გავლენის სფეროს შენარჩუნების სურვილში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში.¹⁸ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებით რუსეთი ახდენს ზეწოლას საქართველოზე, რაც ფაქტობრივად აფერხებს საქართველოს სრულ ინტეგრაციას ისეთ დასავლურ სტრუქტურებში, როგორებიცაა ევროკავშირი და ნატო.¹⁹ ისტორიულად, რუსეთი მხარს უჭერდა სეპარატისტულ მოძრაობებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, როგორც პოლიტიკურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.²⁰ ამ მხარდაჭერამ საშუალება მისცა დე ფაქტო სახელმწიფოების მდგრად არსებობას, მიუხედავად საერთაშორისო დაგმობისა და იზოლაციისა.²¹ ეს ქმედებები მიუთითებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პირდაპირ დარღვევაზე, რაც ართულებს კონფლიქტის მოგვარების პროცესს.

რუსეთის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებამ კიდევ უფრო გაამწვავა კონფლიქტები.²² ამ აღიარებამ, საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევამ,

¹⁷ Popescu, Nicu. 2008.

¹⁸ Jones, Stephen F. 2009.

¹⁹ Jones, Stephen F. 2009.

²⁰ Cornell, Svante E., and S. Frederick Starr. 2009.

²¹ King, Charles. 2008.

²² Allison, Roy. 2010.

გააძლიერა განხეთქილება კონფლიქტის მხარეებს შორის და მნიშვნელოვნად შეზღუდა მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივები.

საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიუხედავად, რუსეთის ინტერესები რეგიონში უცვლელი რჩება. დასავლურ სტრუქტურებში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის პერსპექტივას, სავარაუდოდ, რუსეთის დამატებითი წინააღმდეგობა მოჰყვება, რაც კონფლიქტების პოტენციურად გამწვავებას გამოიწვევს.²³ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსმა, ფაქტობრივად, შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის შემდგომი პროვოცირება საქართველოს მიმართ მის საგარეო პოლიტიკაში. აღსანიშნავია, რომ მაშინ, როცა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობებს უქმნის, რუსეთის სტრატეგიული ინტერესები და ისტორიული ჩართულობა კონფლიქტებში წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევებს. შესაბამისად, რუსეთის როლი არის მთავარი დაბრკოლება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ამ ეტაპისთვის, უკრაინაში ინტერვენციის გამო, მნიშვნელოვნად დასუსტებულია. ამასთანავე, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, გარდა ეკონომიკური კეთილდღეობისა, ასევე გულისხმობს საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის გაღრმავებას აღნიშნული კონფლიქტების მოგვარებაში. დიდი ალბათობით, ევროკავშირი, თავისი ერთგულებით მშვიდობისა და სტაბილურობისადმი, მოტივირებული იქნება კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს კონფლიქტების მოგვარების პროცესში.²⁴

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე

რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტს შორის მიმავალი შედეგები მოჰყვება არა მხოლოდ კონფლიქტში მონაწილე ქვეყნებთან მიმართებაში, არამედ მის მიმდებარე რეგიონებთანაც. ერთ-ერთი ასეთი რეგიონი, რომელიც კონფლიქტის შედეგად, ძლიერად დაზარალდა-კავკასიაა, კონკრეტულად სეპარატისტული

²³ Nodia, Ghia. 2009.

²⁴ Hamilton, Daniel S., and Stefan Meister, eds. 2016.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონები. ეს რეგიონები რუსეთის კონტროლის ქვეშ იყო 2000-იანი წლების დასაწყისიდან, საქართველოსთან კონფლიქტების შემდეგ. თუმცა, უკრაინასთან მიმდინარე 2022 წლის ომის შედეგად, რუსეთის პოტენციური დასუსტების გამო, შესაძლოა, რუსეთი იძულებული გახდეს გამოიყვანოს თავისი ჯარები ამ რეგიონებიდან, როგორც ეს გააკეთა ყარაბაღთან დაკავშირებით. რუსეთმა 2024 წელს სრულად გაიყვანა სამშვიდობო ძალები ყარაბაღიდან.

რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტი უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და დასასრული უახლოეს პერიოდში ჯერ-ჯერობით არ ჩანს. ომმა ზიანი მიაყენა რუსეთის ეკონომიკას, ასევე სამხედრო და საერთაშორისო რეპუტაციას. შედეგად, რუსეთი შეიძლება აღმოჩნდეს დასუსტებულ მდგომარეობაში, რომელსაც არ შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ყოფნა ისეთ რეგიონებში, როგორცაა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის გასვლა ამ რეგიონებიდან, არის საერთაშორისო ზეწოლა, რომელსაც რუსეთი აწყდება უკრაინაში მისი ქმედებების შედეგად. საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო რუსეთის ინტერვენცია უკრაინაში. ამან გამოიწვია რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება, რაც კიდევ უფრო ასუსტებს მის ეკონომიკასა და სამხედრო შესაძლებლობებს. გარდა ამისა, რუსეთის ჩართვამ უკრაინის კონფლიქტში დაძაბა მისი ურთიერთობები რეგიონის სხვა ქვეყნებთან, მათ შორის მის მოკავშირე სომხეთთან, შესაბამისად შეიძლება ითქვას რუსეთი თანდათანობით კარგავს გავლენებს სამხრეთ კავკასიაში.

საქართველო დიდი ხანია ცდილობს დაიბრუნოს კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე და შესაძლოა, დასუსტებულმა რუსეთმა საქართველოს მისცეს შესაძლებლობა აღადგინოს ქვეყნის სუვერენიტეტი. უკრაინის კონფლიქტმა გადაიტანა რესურსები და ყურადღება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონიდან. უკრაინაზე ფოკუსირებით, რუსეთს შეიძლება გაუჭირდეს ამ რეგიონებზე კონტროლის შენარჩუნება, განსაკუთრებით თუ მას შიდა და გარე ზეწოლა ემუქრება.

უკრაინის ომი თანდათანობით ასუსტებს რუსეთის სამხედრო ძალებს და რესურსებს. საერთაშორისო ზეწოლამ და ეკონომიკურმა სანქციებმა შესაძლოა კიდევ უფრო დაასუსტოს რუსეთი. ამისათვის განვიხილოთ შესაძლო სამი სცენარი: სცენარი I - რუსეთი ინარჩუნებს სტატუს კვოს - მიუხედავად გამოწვევებისა, რუსეთმა შესაძლოა გააგრძელოს სამხედრო ყოფნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. სტრატეგიულმა ინტერესებმა და ისტორიულმა კავშირებმა შეიძლება გადაწონონ გარე ზეწოლა. სცენარი II - სამხედრო ძალების ეტაპობრივად გაყვანა - თუ რუსეთმა უკრაინაში მნიშვნელოვანი წარუმატებლობა განიცადა, არის დიდი ალბათობა იმისა, რომ მან გადააფასოს პრიორიტეტები და აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჯარების თანდათანობით გაყვანა განახორციელოს. სცენარი III - სრული გაყვანა - ძლიერად დასუსტებულმა რუსეთმა შესაძლოა საბოლოოდ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან. დაახლოებით ისე, როგორც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში მოხდა. 2020 წელს, უსაფრთხოების მკვლევარების უმეტესობა ვარაუდობდა, რომ რუსეთი არასოდეს გაიყვანდა ყარაბაღიდან სამშვიდობო ძალებს. თუმცა 2024 წელს რუსეთმა მთლიანად გაიყვანა კონტინგენტი ყარაბაღიდან. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-უკრაინის ომი უდავოდ გავლენას ახდენს რუსეთის ქმედებებზე სამხრეთ კავკასიაში. შესაბამისად, რუსეთის დასუსტებასთან ერთად, საერთაშორისო პარტნიორების დახმარება სავარაუდოდ საქართველოს მისცემს საშუალებას მოაგვაროს არსებული კონფლიქტები, რადგან ევროკავშირს აქვს მნიშვნელოვანი როლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში.

საერთაშორისო პარტნიორების დახმარება

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ საშუალება მისცა ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს, რათა დადებითი წვლილი შეიტანონ კონფლიქტების გადაწყვეტაში სტრუქტურირებული და შეთანხმებული მოქმედებებით. კერძოდ, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები წარმოადგენს პლატფორმას საქართველოს კონფლიქტების მოსაგვარებლად, მათ შორის რუსეთის მონაწილეობით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად, არის პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს შეუძლიათ. ევროკავშირს აქვს მტკიცე ვალდებულება დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისადმი.²⁵ ევროკავშირს და მის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ განახორციელონ პოლიტიკური ზეწოლა კონფლიქტში ჩართულ მხარეებზე, განსაკუთრებით რუსეთზე, რათა დაიცვან ეს პრინციპები. ევროკავშირის, როგორც შუამავლის როლი საერთაშორისო კონფლიქტებში კარგად არის დამკვიდრებული და მისი გამოყენება შესაძლებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონტექსტში.²⁶

როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ფინანსური დახმარების გაწევაა. ევროკავშირის ფინანსურ დახმარებას, რომელიც მიმართულია სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, შეუძლია შექმნას მშვიდობის ხელშემწყობი პირობები. ეს დახმარება შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოში ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, რითაც ის მიმზიდველი გახდება აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის. ევროკავშირს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს კონფლიქტების მოგვარებაში დიალოგის პლატფორმის შექმნითაც, სხვადასხვა ფორუმის მეშვეობით. ასევე ხელი შეუწყოს საქართველოს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის დისკუსიებს, დაეხმაროს დავების გადაწყვეტას და ხელი შეუწყოს ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას.

საბოლოოდ, შეიძლება აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სისტემაში რუსეთის დასუსტებული პოზიციების ფონზე, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი ხელს უწყობს ევროკავშირის ჩართვას კონფლიქტში, რაც მეტად მნიშვნელოვანია. პოლიტიკური მხარდაჭერის, ფინანსური დახმარებისა და დიალოგის ხელშემწყობის გზით ევროკავშირს შეუძლია წვლილი შეიტანოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში.

²⁵European Union, 2023.

²⁶ T. Diez, 2009.

დასკვნა

კვლევის შედეგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ეკონომიკური ზრდისადმი ერთგულებით, ევროკავშირს შეუძლია უზრუნველყოს საქართველოსთვის მხარდამჭერი ჩარჩო, მდგრადი განვითარებისა და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციით, ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს პლატფორმას ეკონომიკის დივერსიფიკაციისთვის, ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. სოციალურად, ევროკავშირის პოლიტიკასა და სტანდარტებს შეუძლიათ წარმართონ საქართველოს განვითარება მისი სოციალური და ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერების, ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემების გაუმჯობესების გზით. მართალია, კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რჩება კომპლექსურ საკითხად, თუმცა ევროკავშირის ჩართულობას შეუძლია გადაამწყვეტი როლი ითამაშოს ამ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში. ევროკავშირის გამოცდილებამ კონფლიქტების მოგვარებაში, მისმა ერთგულებამ მშვიდობიანი დიალოგისადმი და მისმა პოტენციურმა გავლენამ, როგორც ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო აქტორისა, შეუძლია წვლილი შეიტანოს კონფლიქტურ რეგიონებში მდგრადი მშვიდობის მიღწევაში.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც აფხაზი და ოსი მოსახლეობა შესაძლოა დაინტერესდეს საქართველოსთან ინტეგრაციით. ესენია ეკონომიკური განვითარება და სოციალური სტაბილურობა. პირველ რიგში, ევროკავშირის წევრობა ხშირად ასოცირდება ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. როდესაც საქართველო მიიწევს ევროკავშირის წევრობისკენ, ეკონომიკურმა

სარგებელმა, როგორცაა გაზრდილი ვაჭრობა, ინვესტიციები და დახმარება, შეიძლება გააუმჯობესოს აფხაზი და ოსი მოსახლეობის ცხოვრების დონე.²⁷

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსმა შესაძლოა გამოიწვიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების უფრო დიდი საერთაშორისო აღიარება. გაზრდილი საერთაშორისო ყურადღება ფაქტიურად მოახდენს ზეწოლას კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეზე, რათა მოძებნონ მშვიდობიანი გზები. ეს გაზრდილი ცნობიერება და დასავლეთის პოტენციური ინტერვენცია შეიძლება ჩაითვალოს პოზიტიურ მოვლენად აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის.

აფხაზი და ოსი მოსახლეობის განვითარების პერსპექტივიდან, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების, სოციალური სტაბილურობისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შუქურას. თუმცა, ამ პერსპექტივების რეალური რეალიზება დამოკიდებულია უამრავ კომპლექსურ ფაქტორზე, მათ შორის სხვა ძირითადი აქტორების გეოპოლიტიკურ ინტერესებზე, განსაკუთრებით რუსეთის. ევროკავშირი აფასებს მშვიდობასა და სტაბილურობას და მას აქვს მეზობელ რეგიონებში კონფლიქტების მოგვარების მხარდაჭერის ისტორია. საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსმა შესაძლოა აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტები ევროკავშირის დღის წესრიგის წინა პლანზე წამოაყენოს, რაც გამოიწვევს მშვიდობის დამყარების უფრო შეთანხმებულ ძალისხმევას.²⁸ ამ პერსპექტივით ერთის მხრივ შესაძლოა დასავლეთმა აიძულოს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დასუსტებული რუსეთი ხელი არ შეუშალოს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და მეორეს მხრივ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიმზიდველი გახადოს აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის.

ნაშრომის დასასრულს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს-კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ეფექტურად გამოყენების მიზნით, საქართველოს რა ძირითად მიმართულებებზე შეუძლია ფოკუსი-

²⁷ European Commission, 2021.

²⁸ European Union External Action, 2020.

რება მოახდინოს: უპირველესად აღსანიშნავია ეკონომიკური განვითარების გაძლიერება - ეკონომიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად ინფრასტრუქტურის განვითარება ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ასევე, ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით კონფლიქტისადმი მიდრეკილ რეგიონებში. გარდა ამისა, ინკლუზიური დიალოგისა და მოლაპარაკებების ხელშეწყობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის უმცირესობათა ჯგუფებთან დავების განხილვისა და კონსენსუსის შესაქმნელად.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროკავშირის არსებული ჩარჩოებისა და მექანიზმების გამოყენება კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობისთვის, რაც გულისხმობს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ექსპერტების გამოყენებას ისეთ სფეროებში, როგორცაა მმართველობა, ეკონომიკური განვითარება და უსაფრთხოება; ამასთანავე სოციალური ინტეგრაციისა და შერიგების პროგრამების ხელშეწყობა განხეთქილების გადალახვისა და ეროვნული ერთიანობის განცდის გასაძლიერებლად. რაც შეეხება განათლების მიმართულებას, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება მოქალაქეთა ევროკავშირში ინტეგრაციის სარგებელისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობის შესახებ. ბოლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება შესაძლოა იყოს ღია და უწყვეტი დიალოგის შენარჩუნება ევროკავშირის ინსტიტუტებთან, საქართველოს კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიების ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ზემოხსენებულ სფეროებზე ფოკუსირებით, საქართველოს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობისა და გრძელვადიანი სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა

- გოგოლაშვილი, კახა. "EU's Peacebuilding in Georgia: Limits and Achievements," *Journal of Peacebuilding & Development*, ტ. 11, არა. 2 (2016): 25-38.
- ევროკომისია, „ფინანსური დახმარება კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნებისთვის“, ევროკომისია, 2023 წ.
- ევროკომისია, „ფინანსური დახმარება კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნებისთვის“ 2023 წ.
- ევროკომისია, "Enlargement: A Policy Explained", ევროკომისია, 2023 წ.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020 წ.
- ჭანტურიძე, ლაშა. „ევროკავშირი და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“, *ევროპული უსაფრთხოება*, ტ. 22, No. 3 (2013): 307-321.
- Allison, Roy. "Russia and the Post-2008 International Legal Order: Revisionism and Realpolitik." *International Affairs*, 86, no. 3 (2010): 637-653.
- Biscop, Sven. *EU grand strategy: ambition and capacity in EU foreign and security policy*. Egmont Institute, 2008.
- Busines Media. არონია გიორგი. ქვეყნები, სადაც რუსეთის მოქალაქეებს უვიზოდ ჩასვლა შეუძლიათ - სია, 2023.
- Consilium - Georgia. Georgia applied for EU membership in March 2022 and was granted candidate status in December 2023, on the understanding that Georgia takes the relevant steps as set out in a Commission recommendation. <https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/georgia/> 2022წ. [გადმოწმებულია, 19.06. 2024 წ.]
- Cornell, Svante E., and S. Frederick Starr. "The Guns of August 2008: Russia's War in Georgia." *Studies of Central Asia and the Caucasus*. Armonk, NY: M.E. Sharpe, 2009.

Centre for Economic Policy Research, "A deep and comprehensive free trade area between the EU and Georgia can boost Georgia's economy by 4.3% of GDP annually,, 2018

Kahanec, Martin, and Klaus F. Zimmermann, eds. Labor migration, EU enlargement, and the great recession. Springer, 2016.

European Union, "EU policy on candidate and potential candidate countries," [online](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/check-current-status_en), 2023. წ. [გადმოწმებულია, 19.06. 2024 წ.]

European Commission, "EU relations with Georgia," last modified April 29, 2021, https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/georgia_en. [გადმოწმებულია, 19.06. 2024 წ.]

European Commission.. "Conclusions of the Presidency." European Council in Copenhagen 1993 წEuropean Commission, "Enlargement Strategy and Main Challenges 2013-2014," COM (2013) 700 final, Brussels, 2013.

European Union External Action, "EU facilitates dialogue for conflict resolution in Georgia," last modified July 16, 2020, https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/82776/eu-facilitates-dialogue-conflict-resolution-georgia_en. [გადმოწმებულია, 19.06. 2024 წ.]

European Union. "Consolidated version of the Treaty on European Union." 2012წ.

European Commission. "The Roots of Democracy and Sustainable Development: Europe's Engagement with Civil Society in External Relations." 2012 წ.

European External Action Service, "EU Relations with Georgia," 2023.

Freedom House, "Nations in Transit 2023: Georgia Country Report," 2023.

NATO, "NATO's relations with Georgia," 2023.

Nodia, Ghia. "The Impact of EU Integration Process on Georgia's Political System." Caucasus Institute for Peace, Democracy and Development. 2017წ.

Nodia, Ghia. "The War for Georgia: Russia, the West, the Future." Journal of Democracy, 20, no. 1 (2009): 75-89.

- International Crisis Group, "Abkhazia: The Long Road to Reconciliation," Europe Report No. 224, April 10, 2013.
- Jones, Stephen F. "Clash in the Caucasus: Georgia, Russia, and the 2008 War." *Current History*, 108, no. 721 (2009): 331-336.
- Ramet, Sabrina P., and Vjeran Pavlaković, eds. *Serbia, Croatia and Slovenia at Peace and at War: Selected Writings, 1983–2007*. LIT Verlag Münster, 2008.
- T. Diez, "The European Union as a Mediator in International Conflicts: The Role of the Special Representatives," *European Foreign Affairs Review*, vol. 14, no. 4, pp. 493–509, 2009.
- Hill, Christopher. "The capability-expectations gap, or conceptualizing Europe's international role." *Journal of Common Market Studies* 31, no. 3 (1993): 305-328.
- Hamilton, Daniel S., and Stefan Meister, eds. "The Eastern Question: Russia, the West, and Europe's Grey Zone," *Transatlantic Academy*, (2016).
- King, Charles. "The Five-Day War: Managing Moscow After the Georgia Crisis." *Foreign Affairs*, 87, no. 6 (2008): 2-11.
- Popescu, Nicu. "EU and the Eastern Neighborhood: Reluctant Involvement in Conflict Resolution," *European Foreign Affairs Review*, vol. 13, no. 3 (2008): 457-477.

საქართველოს გზა ევროკავშირის წევრობისკენ: გამოწვევები, პროგრესი და პერსპექტივები

პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის პროგრამის ხელმძღვანელი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს გზა ევროკავშირის წევრობისკენ, გამოკვლეულია გამოწვევები, მიღწეული პროგრესი და მომავალი პერსპექტივები. 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველო აგრძელებს მჭიდრო ინტეგრაციას ევროპულ ინსტიტუტებთან, განიხილავს ევროკავშირის წევრობას, როგორც სტრატეგიულ მიზანს დასავლურ ერთა საზოგადოებაში დასამკვიდრებლად. მიუხედავად სხვადასხვა დაბრკოლებებისა, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი პოლიტიკის, ინსტიტუტებისა და კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან და ღირებულებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. თუმცა, რჩება მთელი რიგი დაბრკოლებები, მათ შორის მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები, შიდა მმართველობის საკითხები და გარე გეოპოლიტიკური ზეწოლა. ყოვლისმომცველი რეფორმების, მუდმივი ვალდებულებისა და ევროკავშირის მხარდაჭერის გზით, საქართველო მიზნად ისახავს გადალახოს ეს გამოწვევები და საბოლოოდ მიაღწიოს ევროკავშირში გაწევრიანებას.

საქართველო თავისი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის კრიტიკულ ეტაპზეა. ვინაიდან ქვეყანა ცდილობს გააძლიეროს თავისი დემოკრატიული ინსტიტუტები, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და უზრუნველყოს რეგიონული სტაბილურობა, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა გადამწყვეტი ნაბიჯია. ნაშრომში ხაზგასმულია ის მრავალმხრივი სარგებელი, რომელსაც საქართველო მიიღებს ევროკავშირში გაწევრიანების შედეგად, როგორც ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდით, ასევე უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკური სტაბილურობის გაძლიერებით. ევროკავშირში ინტეგრაციის ტრანსფორმაციული პოტენციალის შესწავლით, ეს ნაშრომი ასახავს იმას, თუ რატომ არის საქართველოს შესაბამისობა ევროპულ ღირებულებებთან და სტანდარტებთან არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელიც მისი მუდმივი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, სტაბილურობა, უსაფრთხოება, დემოკრატია, ეკონომიკური მდგრადობა.

Georgia's Road to EU Membership: Challenges, Progress, and Prospects

Colone Jambul Zaloshvili

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Head of State Resource Management Master Program

Colonel, Doctor of Military Sciences

Abstract

This paper examines the journey of Georgia towards European Union (EU) membership, exploring the challenges, progress made, and the prospects ahead. Since declaring independence in 1991, Georgia has pursued closer integration with European institutions, viewing EU membership as a strategic goal to anchor itself in the Western community of nations. Despite facing various hurdles, Georgia has made significant strides in aligning its policies, institutions, and legislation with EU standards and values. However, several obstacles remain, including unresolved territorial conflicts, internal governance issues, and external geopolitical pressures. Through comprehensive reforms, continued commitment, and support from the EU, Georgia aims to overcome these challenges and ultimately achieve its aspiration of EU membership.

Georgia stands at a critical juncture in its socio-political and economic trajectory. As it aspires to solidify its democratic institutions, foster economic growth, and ensure regional stability, the prospect of joining the European Union (EU) emerges as a pivotal step. This paper explores the multifaceted benefits that Georgia stands to gain from EU accession, ranging from enhanced economic opportunities to bolstered security and geopolitical stability. By examining the transformative potential of EU integration, this paper articulates why Georgia's alignment with European values and standards is not just desirable but imperative for its continued development and prosperity.

Keywords: European Union, stability, security, democracy, Economic sustainability.

შესავალი

ევროკავშირი და საქართველო იზიარებენ მჭიდრო და პოზიტიურ ურთიერთობას, რომელიც გამოირჩევა სტაბილურობის, კეთილდღეობისა და ინტეგრაციის ორმხრივი მისწრაფებებით. საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს გზა ევროპული ინტეგრაციისაკენ აღინიშნა მნიშვნელოვანი მიღწევებით დემოკრატიულ მმართველობაში, ეკონომიკურ რეფორმებსა და რეგიონულ თანამშრომლობაში. რთული გეოპოლიტიკური დინამიკისა და მუდმივი გამოწვევების ფონზე, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა რეგიონში სტაბილურობის, კეთილდღეობისა და დემოკრატიული კონსოლიდაციის ხელშეწყობას იძლევა. ნაშრომში განმარტებულია ის დამაჯერებელი მიზეზები, თუ რატომ უნდა მიანიჭოს საქართველომ პრიორიტეტი ევროკავშირში გაწევრიანებას.

საქართველოს სწრაფვა ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ მისი საგარეო პოლიტიკის ცენტრალური საყრდენი იყო დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან. ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა არა მხოლოდ სიმბოლოა ქვეყნის ერთგულებისა ევროპული ღირებულებებისადმი, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ სარგებელს, გაძლიერებულ უსაფრთხოებას და გეოპოლიტიკურ სტაბილურობას. ნაშრომში განხილულია საქართველოს რთული გზა ევროკავშირის წევრობისკენ, გაანალიზებულია ძირითადი გამოწვევები, მიღწეული პროგრესი და წინსვლის პოტენციური შესაძლებლობები.

საქართველო, სტრატეგიულად მდებარე ქვეყანა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, დიდი ხანია ისწრაფვის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ. ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვა განპირობებულია საქართველოს სურვილით პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და გაძლიერებული უსაფრთხოებისკენ. თუმცა, ევროკავშირის წევრობის გზა სავსეა მრავალი გამოწვევით.

ევროპასთან მჭიდრო კავშირების სურვილს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს საქართველოში. ჩვენი ქვეყანა თავისი ისტორიის მანძილზე ცდილობდა გამხდარიყო ევროპული ერების ოჯახის ნაწილი, მიუხედავად უცხოური ბატონობისა და საბჭოთა მმართველობის გრძელვადიანი პერიოდებისა. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო დაადგა დემოკრატიული, გარდამავალი და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას, ცდილობდა დაეძლია თავისი წარსულის მემკვიდრეობა და მიეღო ევროპული მომავალი.¹

ძირითადი ნაწილი

გამოწვევები

საქართველოს პირველი ნაბიჯები ევროინტეგრაციისკენ დაიწყო 1996 წელს ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების (PCA) ხელმოწერით, რამაც საფუძველი ჩაუყარა მომავალ თანამშრომლობას.

საქართველოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი უპირველესი პოლიტიკური გამოწვევა იყო ყოვლისმომცველი დემოკრატიული რეფორმების საჭიროება. ევროკავშირი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ მმართველობაზე, როგორც წევრობის წინაპირობაზე.²

ადამიანის უფლებები და ადამიანის თავისუფლება წარმოადგენს კიდევ ერთ კრიტიკულ სფეროს, სადაც საქართველომ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აჩვენა. უმცირესობათა უფლებების დაცვა, პრესის თავისუფლება და შეკრების თავისუფლება დაკვირვების სფეროა. ევროკავშირი ყურადღებით აკვირდება ამ ასპექტებს და ნებისმიერმა დარღვევამ შეიძლება შეაფერხოს საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა.

თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესის უზრუნველყოფა აუცილებელია ძლიერი დემოკრატიისთვის და შეესაბამება ევროკავშირის ღირებულებებს. ეთ-

¹ Carnegie Politika. Avdaliani.2023

² Social Europe. Mikiashvili. 2024

ნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა გადამწყვეტია სოციალური ერთიანობისა და ჰარმონიზაციისთვის.

ეკონომიკური სტაბილურობა და განვითარება ევროკავშირის წევრობის მთავარი კრიტერიუმია. საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ეკონომიკურ რეფორმებში, განსაკუთრებით ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და კორუფციის შემცირებაში. თუმცა, კვლავ რჩება გამოწვევები, მათ შორის მაღალი უმუშევრობის დონე, შემოსავლების უთანასწორობა და დამოკიდებულება საგარეო დახმარებასა და ფულად გზავნილებზე.

საქართველოს ეკონომიკას სჭირდება დივერსიფიკაცია და უფრო მეტი მდგრადობა გარე შოკების მიმართ. ისეთი სექტორების გაძლიერება, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და ტექნოლოგიები, ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას. გარდა ამისა, სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი სტაბილურობისთვის.

ინფრასტრუქტურისა და კავშირების გაუმჯობესება გადამწყვეტია საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისთვის. სატრანსპორტო ქსელების, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და ციფრული კავშირის განვითარება გააძლიერებს ვაჭრობას და საინვესტიციო შესაძლებლობებს. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა საქართველოში სხვადასხვა პროექტს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში და გამოყო ინვესტიციები საჭირო ინფრასტრუქტურული ხარვეზების დასაძლევად.

ევროკავშირთან კავშირების გაღრმავება ასევე გულისხმობს ტექნიკური სტანდარტებისა და მარეგულირებელი ჩარჩოების თანხვედრას. საქართველო მუშაობს თავისი რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციისკენ, რათა ხელი შეუწყოს ვაჭრობისა და ინვესტიციების ნაკადებს. რეგულაციების თანხვედრა მოითხოვს არსებით სამართლებრივ და ადმინისტრაციულ რეფორმებს.

კვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბება აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. განათლების სისტემა საქართველოში გამოწვევების წინაშე დგას ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. განათლებასა და პროფესიულ ტრენინგში ინვესტირება დაეხმარება ხარვეზების აღმოფხვრას და ადამიანური კაპიტალის გაზრდას.

ევროკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს განათლებასა და კვლევას, როგორც ინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელს. საქართველო პრიორიტეტს ანიჭებს საგანმანათლებლო რეფორმებს და ხელს უწყობს კვლევებისა და განვითარების თანხვედრას ევროკავშირის სტანდარტებთან. ევროკავშირის ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და მონაწილეობა ისეთ პროგრამებში, როგორცაა Erasmus+, ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას და შესაძლებლობების განვითარებას.

სოციალური ერთიანობის მიღწევა და ევროკავშირში ინტეგრაციისთვის საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება გადამწყვეტია საქართველოსთვის გაწვევრიანების პროცესში. საზოგადოებრივი აზრი ევროკავშირის წევრობის შესახებ განსხვავებულია და არის მოსახლეობის სეგმენტები, რომლებიც კვლავ სკეპტიკურად უყურებენ ევროკავშირში გაწვევრიანების სარგებელს. ამ პრობლემების მოგვარება და ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ ეროვნული კონსენსუსის ხელშეწყობა აუცილებელია.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ინკლუზიური დიალოგები ხელს უწყობს ურთიერთგაგების დამყარებას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის და ფართო მხარდაჭერას უქმნის ევროკავშირის წევრობას. სამოქალაქო საზოგადოების, ორგანიზაციების, ახალგაზრდების ჩართვა ინტეგრაციის პროცესში გააძლიერებს სოციალურ ერთიანობას და ხელს შეუწყობს ევროკავშირში გაწვევრიანების პროცესს.

საქართველოს გეოპოლიტიკურ ლანდშაფტზე დიდ გავლენას ახდენს მისი რთული ურთიერთობა რუსეთთან. გადაუჭრელი კონფლიქტები აფხაზეთსა და

სამხრეთ ოსეთში, ამ რეგიონებში რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნა, მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და უსაფრთხოებას. ევროკავშირი მუდმივად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ამ კონფლიქტების გაჭიანურება ართულებს საქართველოს გზას ევროკავშირის წევრობისკენ.³

რუსეთთან ურთიერთობების დაბალანსება ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას. საქართველომ უნდა გადალახოს გეოპოლიტიკური დამაბულობა და ეძებოს კონფლიქტების დიპლომატიური გადაწყვეტა. რუსეთთან დიალოგში ჩართვას, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, შეუძლია ხელი შეუწყოს რეგიონულ სტაბილურობას და შექმნას ხელსაყრელი გარემო ევროკავშირში ინტეგრაციისთვის.⁴

რეგიონული თანამშრომლობა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ძალისხმევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა გააძლიერებს სტაბილურობას და ეკონომიკურ განვითარებას. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა უზრუნველყოფს რეგიონული თანამშრომლობის ჩარჩოს და საქართველოს შეუძლია გამოიყენოს ეს პლატფორმა მეზობლებთან კავშირების გასაძლიერებლად და საერთო ინტერესების გასამყარებლად.

ძლიერი პარტნიორობის დამყარება ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი, ხელს შეუწყობს რეგიონულ კავშირს და ვაჭრობას. ერთობლივი ინიციატივები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და გარემოს დაცვა, შექმნის სინერგიას და უზრუნველყოფს რეგიონულ სტაბილურობასა და კეთილდღეობას.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის მთავარია ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელება სხვადასხვა სექტორში, მათ შორის მმარ-

³ World News. 2024

⁴ Money Report. Meredith. 2024

თველობაში, სასამართლო სისტემაში, ადამიანის უფლებათა დაცვაში და ეკონომიკურ პოლიტიკაში. ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებული ნაბიჯები გადადგათავისი ინსტიტუტების მოდერნიზებაში, კორუფციასთან ბრძოლაში და კანონის უზენაესობის განმტკიცებაში. ძირითადი რეფორმები, როგორცაა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება და ევროკავშირთან თავსებადი კანონმდებლობის მიღება, მნიშვნელოვანი იყო ინტეგრაციის პროცესის წინვლაში.

პროგრესი და პერსპექტივები

ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს უხსნის ეკონომიკური შესაძლებლობების ფართო სპექტრს. ევროკავშირის 450 მილიონზე მეტი მომხმარებლის ერთიან ბაზარზე წვდომა ქართულ ბიზნესს საქონლისა და მომსახურების გაფართოებულ ბაზარს მისცემს, რაც ხელს შეუწყობს ვაჭრობისა და ინვესტიციების ნაკადებს. უფრო მეტიც, ევროკავშირში გაწევრიანება გულისხმობს სტრუქტურულ ფონდებზე ხელმისაწვდომობას და განვითარების დახმარებას, რომელსაც შეუძლია ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარება, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. რეგულაციებისა და სტანდარტების ევროკავშირის ნორმებთან ჰარმონიზაციის გზით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს კონკურენტუნარიანობა და მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რითიც გააძლიერდება მისი ეკონომიკური მდგრადობა და შემცირდება დამოკიდებულება არასტაბილურ გარე აქტორებზე.

ევროკავშირში გაწევრიანება არის დემოკრატიული რეფორმებისა და ინსტიტუციური გაძლიერების კატალიზატორი იმ ქვეყნებში, რომელებიც ისწრაფვიან გახდნენ ევროკავშირის წევრები. ევროკავშირის ნორმების, ღირებულებებისა და სამართლებრივი ჩარჩოების მიღებით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს თავისი დემოკრატიული ინსტიტუტები, გააძლიეროს კანონის უზენაესობა და დაიცვას ადამიანის უფლებები. გარდა ამისა, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა სტიმულს აძლევს პოლიტიკურ ელიტებს განახორციელონ რეფორმები,

რომლებიც ხელს უწყობენ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და დემოკრატიულ მმართველობას, რითიც ძლიერდება საზოგადოების ნდობა და ლეგიტიმურობა. ევროპულ დემოკრატიულ ჩარჩოებში ჩაბმით, საქართველოს შეუძლია შეამსუბუქოს დემოკრატიის უკანდახევის რისკები და გააძლიეროს თავისი, როგორც დემოკრატიის შექმნის სტატუსი რეგიონში.⁵

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია აუცილებელია რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში (CFSP) ინტეგრაციით და უსაფრთხოების თანამშრომლობის მექანიზმებში მონაწილეობით, საქართველოს შეუძლია წვლილი შეიტანოს ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების არქიტექტურაში. გაძლიერებული თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორცაა კონტრტერორიზმი, საზღვრების უსაფრთხოება და კრიზისების მართვა აძლიერებს საქართველოს მდგრადობას გარე საფრთხეების მიმართ და ხელს უწყობს მეზობლებთან ნდობის აღდგენის ღონისძიებებს. გარდა ამისა, ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს აძლევს პლატფორმას გადაუჭრელი კონფლიქტების მოსაგვარებლად, შერიგებისა და მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმების ხელშეწყობისთვის, რითიც გააძლიერებს რეგიონულ სტაბილურობასა და თანამშრომლობას.

ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს აძლევს შესაძლებლობას გააღრმავოს თავისი კულტურული და სოციალური კავშირები ევროპულ ერებთან, განავითაროს კუთვნილების გრძნობა და საერთო იდენტობა. ევროკავშირის საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლის პროგრამებში მონაწილეობა ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგს, ურთიერთგაგებასა და სოციალურ ერთიანობას. ტოლერანტობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის ევროპული ღირებულებების მიღებით, საქართველოს შეუძლია გადალახოს არსებული გამოწვევები და ჩამოაყალიბოს უფრო შეკრული და მდგრადი საზოგადოება. გარდა ამისა, ევროკავშირში გაწევრიანება ანიჭებს საქართველოს მოქალაქეებს

⁵ Wider Europe. Jozwiak. 2024

ევროპული მოქალაქეობით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც ზრდის მათ მობილურობას, შესაძლებლობებსა და ცხოვრების ხარისხს.

დასკვნა

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებლობა სცილდება მარტივ გეოპოლიტიკურ გათვლებს; ის განასახიერებს გარდამტეხ ხედვას ქვეყნის მომავლის შესახებ. ევროპული ღირებულებების, ნორმებისა და სტანდარტების მიღებით, საქართველოს შეუძლია გამოავლინოს თავისი სრული პოტენციალი, როგორც წარმატებულმა, დემოკრატიულმა და სტაბილურმა ქვეყანამ. ევროკავშირში ინტეგრაციის სარგებელი სცილდება ეკონომიკური კეთილდღეობის ჩარჩოს და მოიცავს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციას, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, კულტურული და სოციალური კავშირების გამდიდრებას. ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე საქართველომ უნდა გამოიყენოს შესაძლებლობა, შექმნას უფრო ნათელი, უფრო ინკლუზიური მომავალი თავისი მოქალაქეებისთვის და შეიტანოს წვლილი ერთიანი და აყვავებული ევროპის მშენებლობის კოლექტიურ პროექტში.

საქართველოს გზა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მრავალმხრივი გამოწვევებით არის სავსე. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური დაბრკოლებების გადაჭრა მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას, ყოვლისმომცველ რეფორმებს და სტრატეგიულ პარტნიორობას. საქართველოს გზა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ არის ტრანსფორმაციული პროცესი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს საქართველოს, მათ შორის, პოლიტიკურ სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებას და გაძლიერებულ უსაფრთხოებას.

თავისი პოლიტიკისა და ინსტიტუტების ევროკავშირის სტანდარტებთან მორგებით, საქართველოს შეუძლია აჩვენოს თავისი ერთგულება ევროინტეგრაციის პროცესში. ამ გზაზე გამოწვევების დაძლევის მთავრობის, სამოქალაქო

საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევა დასჭირდება. საბოლოო ჯამში, საქართველოს მონდომება და გამძლეობა გადამწყვეტ როლს შეასრულებს მისი მისწრაფების განხორციელებაში, გახდეს ევროკავშირის წევრი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Carnegie Politika. Avdaliani Emil. Georgia's EU Candidate Status Will Test Its Relations With Russia. <https://carnegieendowment.org/politika/91045>. November 17, 2023. უკანასკნელად გადამოწმდა — 03.06.2024
- Social Europe. Mikiashvili Marika. Georgia: solidarity from the EU is crucial. <https://www.socialeurope.eu/georgia-solidarity-from-the-eu-is-crucial>. May 29, 2024. უკანასკნელად გადამოწმდა — 03.06.2024
- World News. Georgian group says it will take controversial foreign influence law to the constitutional court. <https://apnews.com/article/georgia-media-law-lawsuit-b51cf13ba61d8dc519e359dcb201d8d2>. May 31, 2024. უკანასკნელად გადამოწმდა — 03.06.2024
- Money Report. Meredith Sam. Georgia president overruled as lawmakers push forward with Russia-style 'foreign agents' law. <https://www.nbclosangeles.com/news/national-international/georgia-president-overruled-as-lawmakers-push-forward-with-russia-style-foreign-agents-law/3422402/>. May 28, 2024. უკანასკნელად გადამოწმდა — 03.06.2024
- Wider Europe. Jozwiak Rikard. Georgia's elusive quest for European integration. <https://bing.com/search?q=Russia%27s+influence+on+Georgia%27s+accession+to+the+European+Union>. May 27, 2024 უკანასკნელად გადამოწმდა — 03.06.2024

საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე

მასტერ-სერჟანტი თორნიკე ბურჯალიანი

გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის
სერჟანტთა სამეთაურო საშტაბო კურსის მსმენელი
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის
უმცროსი სერჟანტის სამეთაურო მომზადების კურსის უფროსი

აბსტრაქტი

საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხია ევროპის კავშირის კანდიდატის სტატუსი. ეს სტატუსი ემსახურება იმის აღმოჩენას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის, ხაზს უსვამს მის როლს დემოკრატიული რეფორმების გატარების წახალისებაში ეკონომიკურ ზრდაში და რაც ყველაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია - რეგიონულ უსაფრთხოებაში.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა არის ძლიერი სტიმული საქართველოში პოლიტიკური და ინსტიტუციური რეფორმებისთვის. გაწევრიანების მკაცრი კრიტერიუმები, რომლებიც ცნობილია როგორც კოპენჰაგენის კრიტერიუმები, მოიცავს ისეთ თემებს, როგორც კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ანტიკორუფციული ზომები. საქართველოსთვის, ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა ხელს უწყობს უფრო მეტ პოლიტიკურ სტაბილურობას, მისი დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმურობას და ეფექტურობას. ეს პროცესი აყალიბებს საზოგადოების ნდობას სამთავრობო პროცესების მიმართ და ხელს უწყობს უფრო შეკრული საზოგადოების განვითარებას. რაც შეეხება ეკონომიკურ ფაქტორს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არის მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსათვის. იგი აჩვენებს საერთაშორისო ინვესტიორებს, რომ საქართველოს აქვს სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემო, რომელიც წახალისებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ეკონომიკურ საქმიანობას. ევროკავშირის ეკონომიკურ ბაზრებზე წვდომა ახალისებს და ხელს უწყობს ეკონომიკურ მოდერნიზაციას და ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც თავის მხრივ აგრეთვე ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას და სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებას. რეგიონული უსაფრთხოება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, სადაც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი დიდ როლს თამაშობს. საქართველოს გეოპოლიტიკური პოზიცია, რომელიც სამხრეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, აქცევს მას ევროკავშირის სტრატეგიულ პარტნიორად აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკაში. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს შეუძლია დაეხმაროს საქართველოს საგარეო საფრთხეებისა და ზეწოლის წინააღმდეგ, განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან. ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან გამდიერებულმა თანამშრომლობამ ისეთ საკითხებში, როგორცაა საზღვრის უსაფრთხოება, თავდაცვის სისტემა და დაზვერვის გაზიარება, შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი და უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, კანდიდატის სტატუსი, რუსეთის ფედერაცია, რეგიონული უსაფრთხოება.

EU candidate status and its importance for the stability of Georgia

Master sergeant Tornike Burjaliani

C.Antsukhelidze NCO Academy NCO Command & Staff Course

C.Antsukhelidze NCO Academy Chief of Junior Sergeant Command Course

Abstract

The status of a candidate for the European Union is an issue of great importance for Georgia. This article also serves to discover how important EU candidate status is for Georgia, emphasizing its role in encouraging democratic reforms in economic growth and, most importantly, in regional security.

First of all, it should be said that the prospect of joining the European Union is a strong incentive for political and institutional reforms in Georgia. For Georgia, striving to meet these criteria contributes to greater political stability, the legitimacy and effectiveness of its democratic institutions. This process builds public trust in government processes and promotes a more cohesive society. As for the economic factor, the EU candidate status is important for growth and development, especially for Georgia. It demonstrates to international investors that Georgia has a stable and predictable business environment that encourages foreign direct investment and economic activity. Access to the EU's economic markets renews and promotes economic modernization and infrastructure development, which in turn also contributes to raising living standards and reducing poverty rates. Regional security is another important aspect where EU candidate status plays a major role. Georgia's geopolitical position, bordering the Russian Federation to the north, makes it a strategic partner of the European Union in the Eastern Partnership policy. EU candidate status can help Georgia against external threats and pressure, especially from Russia. Enhanced cooperation with EU member states in issues such as border security, defense system and intelligence sharing can significantly promote and ensure Georgia's national security.

Keywords: European Union, Candidate status, Russian Federation, Regional security.

შესავალი

ქართველი ერის და სახელმწიფოსათვის დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე მთავარი მიზანი გახდა ევროინტეგრაცია, რაც თავისთავად ევროკავშირში, როგორც ევროპაში არსებულ უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებასაც მოიაზრებს. ევროკავშირში შესვლა ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ძალიან რთული პროცესია, რაც დაკავშირებულია ინტეგრაციის მთელ რიგ საფეხურების გავლასთან, რომლებიც უნდა გაიაროს ქვეყანამ, რათა შეძლოს EU-ს სრულფასოვანი წევრი გახდეს. საქართველო ამ ეტაპებს უკვე რამდენიმე წელია გადის, რაც ჯერ ასოცირების ხელშეკრულებისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის გაფორმებაში, შემდეგ ვიზალიბერალიზაციის, საბოლოოდ კი წელს ევროკომისიის მხრიდან საქართველოსთვის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიცემაში გამოიხატა. ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი საქართველოს განსაკუთრებით აახლოვებს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან.

მოცემული სტატიის მიზანია არის ის, რომ დადგინდეს და მიმოხილულ იქნეს ის ფაქტორები, თუ რატომ არის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვება და შენარჩუნება მნიშვნელოვანი საქართველოსთვის. შესაბამისად, ეს დაეხმარება საზოგადოებასა თუ ამ საკითხის მკვლევრებს იმის უკეთ გაანალიზებაში, თუ როგორ პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი საქართველოს სტაბილურობასა და სამომავლო განვითარებაზე.¹

ძირითადი ნაწილი

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არის სტატუსი, რომელსაც ევროკომისია გასცემს ისეთ არაწევრ ქვეყნებზე, რომელთაც სურთ ორგანიზაციაში გაწევრიანება. ეს გაწევრიანების მრავალპუნქტიანი გეგმის ნაწილია, რაც მოიაზრებს იმას, რომ

¹ დავით ბუჯიაშვილი, „კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული სარგებელი.“ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.(2024). <https://infocenter.gov.ge/>

სახელმწიფოს უკვე ეძლევა უფლება გადავიდეს მოლაპარაკებების ეტაპზე და საჭირო რეფორმების გატარების შემდეგ შეუერთდეს ორგანიზაციას.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების 30-წლიანი ისტორიის მანძილზე ყოფილა თარიღები, როდესაც საქართველო, თანმიმდევრულად, ერთი ეტაპიდან გადადიოდა ხარისხობრივად უფრო მაღალ და უფრო მნიშვნელოვან საფეხურზე, თუმცა 2023 წლის 14 დეკემბერი უკვე შევიდა ისტორიაში, როგორც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში აქამდე ყველა სხვა თარიღთან შედარებით ბევრად უფრო მაღალი მნიშვნელობის მქონე ისტორიული თარიღი, როდესაც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთხმად მიიღო ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული გადაწყვეტილება. როგორც თავად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა სტატუსთან დაკავშირებით, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანა და წევრ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხია. შესაბამისად, საქართველოსათვის ამ სტატუსის მიღება ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტს წარმოადგენდს. ამ კუთხით, მინისტრმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ მიმდინარეობს ევროკავშირთან აქტიური კომუნიკაცია ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების პროცესზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით შექმნილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის, დარგობრივი სამინისტროებისა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად მართავს სამუშაო შეხვედრებს ევროპულ ინსტიტუციებში, წევრი ქვეყნების დედაქალაქებსა და ამავე ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში. ეს შეხვედრები უზრუნველყოფს საქართველოს მოკავშირეთა რეგულარულ ინფორმირებას პრიორიტეტების ეფექტიანად შესრულების თაობაზე. საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატის სტატუსის მიღებას გადამწყვეტი

მნიშვნელობა ენიჭება და საქართველო აკეთებს ყველაფერს, რათა გაგრძელდეს შეუფერხებელი წინსვლა ევროპისკენ.

პირველ რიგში აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივების გაზრდა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული კანდიდატის სტატუსის მიღებასთან, აძლიერებს დემოკრატიზაციას. ეს გამოწვეული არის იმით, რომ ევროკავშირი იმის გარდა, რომ არის პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, იგი ასევე ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს თავის წევრ ქვეყნებში დემოკრატიული ღირებულებების გაზრდას და ადამიანის უფლებების დაცულობას. საქართველო, როგორც ევროპული ოჯახის ნაწილი, შეძლებს, რომ სრულად ეზიაროს ევროპული სამართლის პრინციპებს და რაც მთავარია დემოკრატიულ ღირებულებებს. დემოკრატიული ღირებულებების დაცვას მკაცრად ითხოვს ეგრეთწოდებული კოპენჰაგენის კრიტერიუმები. სწორედ ეს არის ის მთავარი კრიტერიუმების ნუსხა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანა. ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი კი ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, რომ დაწეროს დემოკრატიული ღირებულებები, რაც გულისხმობს კანონის უზენაესობას, სამართლიან და გამჭვირვალე სასამართლო სისტემას, გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებს, მოქალაქეების ჩართულობას სახელმწიფო მართვაში, ადამიანის უფლებების დაცულობას, ტოტალიტარიზმთან ბრძოლას და ა.შ. შესაბამისად, კანდიდატის სტატუსის მიღება და ამ ყველაფრის დაწერვა საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას დაეხმარება იმაში, რომ კიდევ უფრო განავითაროს საკუთარი სახელმწიფო სტრუქტურები.

საინტერესოა ისიც, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ხშირად განიხილება, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დამტკიცების ბეჭედი. საქართველოსთვის ეს სტატუსი ახალისებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას. ინვესტორები სულ ეძებენ სტაბილურ და პროგნოზირებად გარემოს და ევროკავშირის კანდიდატობა კიდევ მიაწვდის ევროკავშირის სტანდარტების დაცვაზე და ქვეყანაში სტაბილური გარემოს არსებობაზე. გაზრდილი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაზრდის კაპიტალს, ტექნოლოგიას და გამოცდილებას, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და პროდუქტიულობის გაზრდას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

ზუსტად კანდიდატის სტატუსის დამსახურებით საქართველო მიიღებს წვდომას ევროკავშირისგან გაწვევრიანებამდელ ფულად დახმარებაზე, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს პოტენციურ წევრ ქვეყნებს გაწვევრიანების მკაცრი მოთხოვნების შესრულებაში. ეს დაფინანსება მხარს უჭერს რეფორმებს ინფრასტრუქტურის, მმართველობისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. გარდა ამისა, ევროკავშირის საბოლოო გაწვევრიანების პერსპექტივა სავარაუდოდ გააძლიერებს საქართველოს წვდომას ევროპის უზარმაზარ ერთიან ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო და ეკონომიკურ თანამშრომლობას, რაც შესაძლებლობას მისცემს ქართულ ბიზნესს უფრო ადვილად განახორციელოს პროდუქციის ექსპორტი და მოიზიდოს ევროპელი პარტნიორები ერთობლივი თანამშრომლობისთვის. ეკონომიკური სტაბილურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ სტაბილურობასთან, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი კი სავარაუდოდ გააძლიერებს ორივეს. ამ სტატუსს შეუძლია შეამსუბუქოს პოლიტიკური რისკები და გააუმჯობესოს საერთო საინვესტიციო კლიმატი, განავითაროს ნდობის განცდა ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებს შორის. საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ქონა და მითუმეტეს ასეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციის წევრობა წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიასაც. იმ პირობებში, რომ საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი - რუსეთის ფედერაცია უკვე მრავალი წელია რაც ჩვენს მიმართ აგრესიით გამოირჩევა, საქართველოს სჭირდება ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები რუსეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და ქვეყანაში სტაბილური გარემოს ჩამოსაყალიბებლად. თავდაცვის სისტემაში და სასაზღვრო უსაფრთხოებაში ევროკავშირის ისეთ ძლიერ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, როგორებიცაა თუნდაც გერმანია და საფრანგეთი, დაეხმარება საქართველოს საგრძნობლად გააძლიეროს სა-

კუთარი შესაძლებლობები, გაზარდოს სასაზღვრო უსაფრთხოება, რაც დაეხმარება მას, რომ უკეთ მოიგერიოს რუსეთისაგან მომავალი საფრთხეები და ქვეყანაში სტაბილური გარემო შექმნას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი დიდი მნიშვნელობის მქონეა საქართველოსთვის, რადგანაც ის დაეხმარება საქართველოს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის გაუმჯობესებასა და ქვეყანაში დემოკრატიზაციის ზრდაში, ისე ეკონომიკურ განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში; აგრეთვე თავდაცვის გაძლიერებასა და ამ გზით რუსეთის გავლენების შემცირებაში და მისგან მომავალი საფრთხეების პრევენციაში. ეს კი საერთო ჯამში საქართველოს სახელმწიფოს შიგნით სტაბილური გარემოს შექმნის წინაპირობაა.

დასკვნა

აღნიშნულის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსთვის, რომელიც მტრულად განწყობილი რუსეთის მეზობლად მდებარეობს და ცდილობს დახვეწოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური სფეროები, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი მას ეხმარება დემოკრატიზაციაში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ევროპულ ბაზარზე თავის დამკვიდრებასა და რუსეთის გავლენების შემცირებისთვის ბრძოლაში.

საქართველოში რომ შეიქმნას კიდევ უფრო მეტად სტაბილური გარემო, საჭიროა ევროინტეგრაციის პროცესის უფრო მეტად გაღრმავება და კანდიდატის სტატუსის გამოყენება, რათა დროულად მოხდეს ევროკავშირში გაწევრიანება, ამისთვის საჭიროა ევროკომისიის მიერ მოცემული მოთხოვნების საფუძვლიანი ზედმიწევნით შესრულება.

საბოლოოდ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს ნამდვილად აქვს ევროკავშირის წევრობის შანსი, რაც მტკიცდება უკვე მისი კანდიდატის სტატუსის მიღებით და დასავლელი ლიდერების მიერ გამოხატული პოზიციებით, სადაც ისინი დიდ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს და მის ევროინტეგრაციის პრო-

ცესს, რის გამოც თავად საქართველოს მხრიდან გადადგმული შესაბამისი ნაბიჯების შემთხვევაში ის შეძლებს გახდეს ევროპული ოჯახის წევრი და შექმნას ისეთივე სტაბილური და მაღალგანვითარებული გარემო, როგორც ეს ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებმა მოახერხეს გაწევრიანების შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბუჯიაშვილი, დავით. (2024). „კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული სარგებელი.“ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. <https://infocenter.gov.ge/>

- “რას ნიშნავს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი: რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ქვეყანა?” Ambebi.GE. Accessed July 2, 2024. <https://www.ambebi.ge/article/303301-ras-nishnavs-sakartvelostvis-evrokavshiris-kandidati/>, “EU Candidate Status – What Does It Mean?” EU for Georgia, March 20, 2024. <https://eu4georgia.eu/what-does-the-eu-candidate-status-mean-to-georgia/>.
- “Unlocking Opportunities: The Economic Benefits of EU Candidate Status for Georgia.” ISET. Accessed July 2, 2024. <https://iset-pi.ge/en/blog/3405-unlocking-opportunities-the-economic-benefits-of-eu-candidate-status-for-georgia>.

საქართველოსა და ევროპის ურთიერთობების ისტორიული ანალიზი და მიმდინარე პროცესების პერიპეტიები

ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია

სსიპ- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

კავკასიის რეგიონზე გასაბატონებლად ისტორიულად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სხვადასხვა გავლენიანი ძალები. ეს რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა ხიდს ორ განსხვავებულ ცივილიზაციას შორის. აღნიშნული ცივილიზაციების გავლენის შედეგად სამხრეთ კავკასიაში ერთგვარი გროსკულტურული გარემო ჩამოყალიბდა, სადაც სხვადასხვა ფასეულობები თანაბრად იკიდებდნენ ფეხს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, თუმცა სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკაში განსხვავებული ინტენსივობით. აზერბაიჯანი, მეტნაკლებად ისლამური კულტურის გავლენიდან გამომდინარე, უფრო აზიურ ფასეულობებს ანიჭებს უპირატესობას. სომხეთში, ევროპასთან პირდაპირი კავშირის არქონის და რუსეთის ინტერესების გავლენის გაფართოების ფონზე, ევრაზიული მიქსი ჩამოყალიბდა, რომელიც ქრისტიანულ ფარდას ამოფარებული ბოლომდე არც ევროპულია და არც აზიური. რაც შეეხება საქართველოს, ღრმა ქრისტიანული ფესვებიდან გამომდინარე, ის ყოველთვის დასავლურ ფასეულობებს ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა დიდი იყო აღმოსავლური გავლენაც, როგორც გეოგრაფიული, ასევე პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე. ამიტომაც არავის უკვირდა დავით აღმაშენებლის მეჩეთში სიარული თუ დემეტრე I-ისა და თამარის კარზე მუსლიმ სწავლულთა ყოფნა.

ცხადია რელიგია უფრო მეტად მიჯნავს ადამიანებს, ვიდრე სხვა ფასეულობა. კულტურა და ტრადიციებიც მეტწილად რელიგიიდან გამომდინარეობენ. ის უფრო ადვილად აყალიბებს საერთო ცივილიზაციურ ნიშნებს, ვიდრე სხვა რომელიმე ფაქტორი. ამის შედეგია საქართველოს ნაბიჯ-ნაბიჯ გამიჯვნა მუსლიმური აღმოსავლეთისაგან და დასავლური ღირებულებების დაშვება საზოგადოების ყოფა-ცხოვრების ნორმებში. ამასთანავე, არც ის უნდა დაუშვავთ, რომ საქართველოს ევროპიზაცია მარტო ქრისტიანობამ განაპირობა. ამ ტენდენციას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ძვ. წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ, საქართველო ელინისტური სამყაროს ნაწილი გახდა, ხოლო ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან, როდესაც კავკასია რომის გავლენის ქვეშ მოექცა, ქართლი და ეგრისი აქტიურად ჩაერთვნენ საერთო რომაულ ცივილიზაციაში.

საქართველომ მკაფიო პროდასავლური ორიენტაცია აირჩია და დაშორდა აღმოსავლურ ზორასატრულ სამყაროს. ამ პრინციპების შესანარჩუნებლად და გასამტკიცებლად უდიდესი მსხვერპლის გადაება მოგვიწია, მაგრამ ევროპული ფასეულობები დღემდე წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის ფორპოსტს. საქართველოს მოქალაქეების უდიდესი ნაწილის მოთხოვნით, კონსტიტუციაშიც კი ჩაიწერა ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ და ევროპულ ოჯახებში გაწევრიანების ურყევი სურვილის შესახებ, რაც მისი ხელისუფლების განუხრელ მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოზე ევროპული და აზიური გავლენების პარალელურად ხორციელდება, შეიძლება ითქვას ბოლო პერიოდში, ყველაზე მოძლიერებული ჩრდილოეთის გავლენა, რომელიც გვეკლინება, როგორც ევრაზიული დამახინჯებული ღირებულებების გაუხეშებული ნაზავი და წარმოადგენს ყვე-

ლაზე საშიშ საფრთხეს, რელიგიურ ფარდას ამოფარებული სასიკვდილო ინტერუმენტის სახით. მისი პირდაპირი თუ ირიბი გავლენა ქვეყნის უსაფრთხოებისა და დამუკიდებლობის დაკარგვის მხრივ იმდენად დიდია, რომ შესაძლოა ბოლო მოუღოს მის ნათელ მომავალს. ამას ემატება მომძლავრებული ინტერესი ახალი მსოფლიო მოთამაშის - ჩინეთის მხრიდან. გამომდინარე აქედან, აუცილებელია მაქსიმალური სიფრთხილე საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის მხრიდან, რათა არ დაუშვას მომაკვდინებელი შეცდომა და ქვეყანა არ აღმოჩნდეს სხვისი ინტერესების შესაბამისად ხელახალ ტყვეობაში, საიდანაც თავის დაღწევა ქართველ ხალხს უამრავი სიცოცხლის საფასური დაუჯდა.

საკვანძო სიტყვები: ევროპიზაცია, სამხრეთ კავკასია, მედიატორი, რეგიონალური უსაფრთხოება, ეროვნული ინტერესი.

Historical analysis of relations between Georgia and Europe and vicissitudes of current processes

Lieutenant-Colonel Arkadi Antia

David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Head of Defense Analysis Master Program,
Doctor of Social Sciences

Abstract

Historically, various influential forces have been competing to dominate the Caucasus region. This region was always a bridge between two different civilizations. As a result of the influence of the above-mentioned civilizations, a kind of macrocultural environment was formed in the South Caucasus, where different values had an equal footing. This process continues today, but with different intensity in different republics of the South Caucasus. Azerbaijan, more or less influenced by Islamic culture, prefers more Asian values. In Armenia, against the backdrop of the lack of direct connection with Europe and the expansion of the influence of Russian interests, a Eurasian mix has been formed, which is neither European nor Asian when fully covered by the Christian veil. As for Georgia, due to its deep Christian roots, it has always preferred Western values, although Eastern influence was also great, both for geographical and political reasons. That is why no one was surprised that David Aghmashenebeli was going to the mosque or the presence of Muslim scholars at the court of Demete I and King Tamar.

Obviously, religion brings people closer than other values. Culture and traditions are largely derived from religion. It forms common civilizational signs more easily than any other factor. The result of this is the step-by-step separation of Georgia from the Muslim East and the acceptance of Western values in the norms of society's daily life. At the same time, we should not assume that the Europeanization of Georgia was caused by Christianity alone. This trend has much deeper roots. Based on historical sources, year after, Alexander the Great's campaign in the East in the IV B.C. Georgia became part of the Hellenistic world, and from the first century, when the Caucasus came under Roman influence, Kartli and Egris were actively involved in the common Roman civilization.

Georgia chose a clear pro-Western orientation and distanced itself from the Eastern Zoroastrian world. We had to make great sacrifices to preserve and strengthen these principles, but European values are still the outpost of the population of Georgia. At the request of the largest part of the citizens of Georgia, even the unshakable desire of the country to join the North Atlantic and European families was written in the constitution, which should be the unwavering goal of its government.

Parallel to the European and Asian influences on Georgia, it can be said that the northern influence is the strongest in the recent period, which appears as a crude mixture of distorted Eurasian values and represents the most dangerous threat, in the form of a deadly instrument covered by a religious veil. Its direct or indirect impact on country's security and loss of independence is so great that it may put an end to its bright future. Added to this is the increased interest from the new world player – China. Therefore, it is necessary to exercise maximum caution on the part of the government and population of Georgia, so as not to make a fatal mistake and the country does not find itself in a new captivity according to Russian interests, from which the Georgian people have cost a lot of lives to escape.

Keywords: Europeanization, South Caucasus, mediator, regional security, national interest.

შესავალი

საქართველოს, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევანის გაკეთება ბევრჯერ მოუწია. დასავლეთი თუ აღმოსავლეთი-გადაწყვეტილების მიღების ყველაზე რთული დილემა იყო საუკუნეების განმავლობაში. თუმცა საქართველოს ხელისუფლება მეტნაკლებად ლავირებადი პოლიტიკის გატარების საფუძველზე ახერხებდა ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რაც, იმპერიების ინტერესების გათვალისწინებით, ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნების შეუცვლელი პირობა იყო. საერთო გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დროთა განმავლობაში, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო ხან აზიური ხან ევროპული ორბიტის ქვეშ ყოფნა. ქართულ ისტორიულ წყაროებში აღწერილია, თუ როგორ წყვეტდნენ ქართველი პოლიტიკოსები ამ დილემას. ამისი ერთ-ერთი მაგალითია, ეგრისის მეფის გუბაზის მოკვლის შემდეგ, 554 წელს წარჩინებულთა კრებაზე გამართული დისპუტი, სადაც ეგრისელი დიდებულები მსჯელობდნენ იმაზე, თუ რომელი ორიენტაცია აერჩიათ - პროირანული თუ პრობიზანტიური¹. ადვილი მისახვედრია, რომ აქ არ იგულისხმებოდა კონკრეტულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა. პრობლემა უფრო გლობალური იყო - აღმოსავლეთი თუ დასავლეთი. ამასთანავე, ქართულთა არჩევანი დიდწილად განპირობებული იყო არამარტო გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, არამედ ქართველი მეფეები დიდ ანგარიშს უწევდნენ ადგილობრივი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის მნიშვნელობას და დასავლური ფასეულობებისკენ უფრო იხრებოდნენ ვიდრე ზოროასტრულ² თუ აქემენიანთა იმპერიისკენ³. რა თქმა უნდა, ის ასევე მოიცავდა მთელ კომპლექსს პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, კულტურული თუ ეკონომიკური პრობლემებისას.

მსგავსი პრობლემის წინაშე საქართველო შუა საუკუნეებშიც დადგა, როდესაც არაბთა შემოსევების შედეგად მას გამუსლიმების საფრთხე შეექმნა. XI საუკუნეში ქართველები ნახევარი საუკუნე ბიზანტიის იმპერიას ებრძოდნენ სამხრეთ კავკასიაში

¹ კვირის პალიტრა 2017, 04 აგვისტო

² <https://georgianencyclopedia.ge/ka/form/10922>

³ თათარაშვილი თ.

პირველობისათვის. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში, იმავე ბიზანტიის იმპერიაში მოქმედებდნენ ქართული მონასტრები, რომლებიც დასავლური კულტურის ექსპორტს ახორციელებდნენ საქართველოში⁴.

XI-XIII საუკუნეები საქართველოსთვის პოლიტიკური აღზევების ხანაა. ქართული სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე საგრძნობლად იზრდება. ამან ხელი შეუწყო დასავლეთის სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას. საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა ევროპულ სახელმწიფოებთან განპირობებული იყო აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხეების დასაბალანსებლად. ამასთანავე ჯვაროსნული ომების წარმოებამ და ქრისტიანული ევროპის გაერთიანებამ ბიზანტიას და საქართველოს დიდი მხარდაჭერა მისცა ისლამური საფრთხის დასაძლევად.

XII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთში ჯვაროსნებსა და ქართველებს საერთო სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები ჰქონიათ, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა კავკასიიდან თურქების განდევნა⁵, მაგრამ XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევებმა საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმატება შეაფერხა ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მიმართულებით. ქვეყანა მძიმე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. თუმცა ვითარება ისევ იცვლება XIV საუკუნეში, როდესაც გიორგი V ბრწყინვალის დროს ქართულ-ევროპული ურთიერთობები კვლავ ძველი ტემპით აღდგა. დასავლეთ ევროპის ქრისტიანული სამყარო დაინტერესებული იყო კავკასიაში ძლიერი მოკავშირის ყოლით, რაც საქართველოსაც აწყობდა. ამავე პერიოდში რომის პაპმა საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად საეპისკოპოსო კათედრა სმირნადან თბილისში გადმოიტანა.

უკვე XVIII საუკუნიდან კავკასიის რეგიონში ვითარება უფრო რთულდება, რადგან ასპარეზზე ჩრდილოელი მეზობელი - რუსეთის იმპერია ძლიერდება. ხსენებულ მესამე ძალასთან ქართველთა დაახლოების სურვილი განპირობებული იყო

⁴ კვირის პალიტრა 2017, 04 აგვისტო

⁵ კვირის პალიტრა 2017, 04 აგვისტო

ქრისტიანულ და ევროპულ სივრცესთან დაახლოებით და უსაფრთხოების გარანტიებიდან გამომდინარე, ირანისა და ოსმალეთის გაძლიერების ფონზე, საერთო გეპოლიტიკური სურათის გათვალისწინებით, ქართველებისთვის რუსეთთან სამხედრო ალიანსის ფორმირება ამ ეტაპისთვის მომგებიანიც კი ჩანდა, რადგან ორივე ისლამური იმპერია, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ასევე, რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრებსაც უქმნიდა საფრთხეს. სწორედ ამ დროს წარმოიშვა ის უდიდესი პრობლემა, რომელიც რუსეთის იმპერიის სახელით საქართველოს დაატყდა თავს.

ძირითადი ნაწილი

XVIII საუკუნიდან იწყება ეპოქა, როდესაც საქართველოს მოუწევს მესამე ფლანგზე ბრძოლა თვითგადარჩენისთვის და ჩრდილოეთი ხდება ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი მხარე, რომელიც რეალურად ქართული სახელმწიფოებრიობას გაანადგურებს არც თუ ისე პატარა დროით.

ერეკლე II-ის მიერ 1783 წელს რუსეთთან გაფორმებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“ იყო საერთო ძალის გამოყენებით ირანისა და ოსმალეთის აგრესიის შეჩერების მცდელობა. ამ დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული მხარეთა ვალდებულებები, რაც მოიცავდა იმას, რომ ქართლ - კახეთში უნდა მდგარიყო ორი სრული ბატალიონი, ოთხი ზარბაზნით. მათი შენახვის ხარჯებს ერეკლე II კისრულობდა⁶. თუმცა პროცესები სულ სხვანაირად განვითარდა. რუსეთმა უარი თქვა ტრაქტატის შესრულებაზე, მეტიც პეტერბურგში ქართლ-კახეთის დაპყრობის გეგმა შეიმუშავეს და 1800 წელს გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ საქართველოში მეფობაც კი გააუქმეს.

აქამდე ქვეყნის მიერ განვლილ ისტორიულ პერიოდში გამოიყო შემდეგი ეტაპები: პირველი - საქართველოს სამეფო კარი უშუალოდ თანასწორ ურთიერთობაში იყო ევროპულ სახელმწიფოებთან; მეორე - ქართველები ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობას ახორციელებდნენ მესამე სახელმწიფოს მეშვეობით და მესამე

⁶ <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian--3013.pdf>

- საქართველოსთვის ყველაზე დამამცირებელი და არაკომფორტული, როდესაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკას თვითონ ვერ განსაზღვრავდნენ ქართველი ხელისუფალნი.

შემდეგი პერიოდი, როგორც საქართველოსთვის ასევე ევროპისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა. ევროპის ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირებები და I მსოფლიო ომი გადამწყვეტი აღმოჩნდა მთელს კონტინენტზე გეოპოლიტიკური ცვლილებების მოსახდენად. აღნიშნულმა დაპირისპირებებმა ძალიან დაასუსტა ევროპა. პარალელურად გაიზარდა რუსული გავლენა საქართველოზე და ბედის ანაზარად მიტოვებული თბილისი რუსეთის იმპერიის საჯიჯგნი გახდა.

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებისთვის ევროპა განსაზღვრული იყო როგორც გეოპოლიტიკური სივრცე, როგორც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მოდელი და როგორც თანამედროვე ცივილიზაციის კერა. ამ მიდგომებმა საკმაოდ მრავალფეროვანი გავლენა იქონიეს ქვეყნის ისტორიაზე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობით, გაგრძელებული მეფის რუსეთის დამხობით, პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნითა და დამთავრებული საბჭოთა კავშირის დაშლით ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების სურვილი არ განელებულა ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არსებობდა სურვილი იმისა, რომ ქვეყანა ევროპის სრულფასოვანი ნაწილი ყოფილიყო⁷.

„ევროპულ აზროვნებასთან ზიარება საქართველოში უფრო ინტენსიური მას შემდეგ გახდა, რაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებულმა ქართულმა ინტელიგენციამ რუსულად თარგმნილი გერმანული იდეალიზმის ტექსტებისა და რომანტიკოსი პოეტების რეციპირება დაიწყო.“⁸ რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ეროვნული მოძრაობის თავკაცები იყვნენ ისეთი პიროვნებები, რომლებსაც

⁷ zweihistorischeKategorien, in: ebd.

⁸ ბრისკუ ა.მასისი 2017. თბილისი

წამყვანი თანამდებობები ეკავათ რუსულ არმიასა თუ სამოქალაქო სამსახურში. თითქმის ყველა მათგანს განათლება რუსეთში ჰქონდათ მიღებული. ზოგი ლიდერი „ევროპიზაციას“ საქართველოში რუსეთის გავლით ხედავდა, სხვები ევროპასთან პირდაპირ კავშირებს ანიჭებდნენ უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე ერთი თაობის ქართველი ეროვნული ლიდერები იყვნენ და ერთად უძღვებოდნენ ქართულ ეროვნულ მოძრაობას, ისინი განსხვავებულად უყურებდნენ ევროპული კულტურის და ფასეულობების საქართველოში ექსპორტს. ნიკოლაძე ჭავჭავაძისგან განსხვავებით ამ პროცესის განვითარების პერსპექტივას პირდაპირ კავშირებში ხედავდა, როდესაც ილიას აზრით „ევროპულ სახელმწიფო მოწყობასთან ერთგვარი მიზნულობა, ისევე როგორც ევროპულ იდეებთან კამათიც, თავიდან ბოლომდე რუსეთის გავლენის შედეგი იყო“⁹. ამის საწინააღმდეგოდ, რუსეთს ჭავჭავაძე განიხილავდა როგორც პოლიტიკური ევროპისა და ევროპული ცივილიზაციის სრულფასოვან ნაწილს, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ამ ცივილიზაციაში¹⁰.

კიდევ უფრო მოგვიანებით ნოე ჟორდანიას, როგორც მენშევიკური ფრთის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი, იზიარებდა იმ აზრს, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში, ისეთში როგორც საქართველოა, სოციალიზმის დასამყარებლად, თავდაპირველად ეკონომიკური საფუძველი უნდა შექმნილიყო. მის საგაზეთო სტატიაში - „გაზეთი ივერია და ეროვნული საკითხი“, ის აღნიშნავდა, რომ საქართველო არის ეროვნული საფუძველი, რომელზეც ჩვენ ევროპულ ცივილიზაციას ავაშენებთ.¹¹

მაშინდელ მწერალთა გაერთიანებაში, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „ცისფერყანწელები“, ყველა თანხმდებოდა და ხაზგასმით საუბრობდნენ არა თანამედროვე ევროპისკენ სვლაზე, არამედ საქართველოს „დაბრუნებაზე“ ევროპულ ცივილიზაციაში¹².

⁹ From Berlin 1878 to Tbilisi 2008.

¹⁰ Jones, Socialism in Georgian Colours

¹¹ Jones, Socialism in Georgian Colours

¹² ადრიან ბ. 5 მაისი 2017 თბილისი.

პირველი მსოფლიო ომითა და რევოლუციებით დასუსტებულმა საბჭოთა რუსეთმა 1920 წელს აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ხელშეკრულებით, რაზეც ლენინი და ნოე ჟორდანიას აწერდნენ ხელს, რუსეთი აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია¹³. ხანგრძლივი ომისგან გამოფიტულმა ევროპელმა ლიდერებმა გენუის კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1922 წელს და სადაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ომის შემდგომი რეკონსტრუქციის საკითხი განიხილებოდა, საქართველოს საკითხთან დაკავშირებით თავი არაკომპეტენტურად გამოაცხადეს იმ მიზეზით, რომ საქართველო აზიას ეკუთვნოდა, ხოლო კონფერენცია მხოლოდ ევროპულ საკითხებს შეეხებოდა და დღის წესრიგიდან საქართველოს საკითხის განხილვა ამოიღეს¹⁴. ასე დარჩა საქართველო ევროპისგან მიტოვებული საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში.

მიუხედავად რუსული „მარწუხების“ გამლიერებისა ქართულ საზოგადოებაზე, ინტელიგენციის გენოციდისა და მცდელობისა, რომ ქართველებს არც კი ეოცნებათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, მაინც აქტიურად მიმდინარეობდა ბჭობა და დიალოგი იმაზე თუ სად იყო ხსნა და რა გზას უნდა გაჰყოლოდნენ ქართველები, რომ გადაერჩინათ საკუთარი ენა, კულტურა და ეროვნულობა. მკაცრად დაწესებული ცენზურისა და ძალოვანი სტრუქტურების კონტროლის მიუხედავად, ქართველი ინტელიგენციის ნაწილი მაინც ახერხებდა ქვეყნის ისტორიის გაუყალბებელი სურათის გამომზეურებას და თაობებისთვის ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას. თუმცა საბჭოთა რეჟიმი იმდენად მოძლიერდა, რომ სათავეშივე ახშობდა კომუნისტური პარტიისთვის მიუღებელ იდეოლოგიას.

70 - წლიანი კომუნისტური ტყვეობის წინააღმდეგ გალაშქრების ნათელი მაგალითი 1956 წლის მარტში თბილისში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებია, რისი საფუძველიც გახდა იმავე წლის 25 თებერვლის ხრუმჩოვის¹⁵ სსრკ - ის

¹³ Adrian Brisku:1870– 1920s, in: Nationalities Papers

¹⁴ ი. კაჭარავა საქართველოს ისტორიის ნარკვევები

¹⁵ <https://www.britannica.com/biography/Nikita-Sergeyevich-Khrushchev>

დახურულ ყრილობაზე სიტყვით გამოსვლა, სადაც მან დაგმო სტალინის კულტი. ამას დაემატა მოსკოვიდან დაბრუნებული იმ დელეგატების ნაამბობი, რომლებიც შეკრებას ესწრებოდნენ, რომ „ხრუმჩოვმა არა მხოლოდ სტალინზე, არამედ ზოგადად ქართველებზეც ილაპარაკა და სტალინის ტირანული ხასიათი ქართული ბუნებით ახსნაო“¹⁶. ამას მოჰყვა რამდენიმედღიანი საპროტესტო გამოსვლები თბილისში. როდესაც უკმაყოფილო მომიტინგეთა რიცხვი დღითიდღე გაიზარდა, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა აქციები სისხლისღვრით ჩაეხშო. მომიტინგეთა მოთხოვნებში გაიჟღერა საქართველოს გამოყოფამ საბჭოთა კავშირიდან. სამხედროების მიერ ხალხის დარბევას სხვადასხვა მონაცემებით 30 - დან 100 - მდე მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა¹⁷.

ამ მოვლენებმა ქართული საზოგადოების ეროვნული თვითშეგნებისკენ შემოტრიალებაში გადაწყვეტი როლი ითამაშეს. უკვე 1956 წელსვე შეიქმნა საიდუმლო პატრიოტული ორგანიზაცია „გორგასლიანი“, რომელშიც შედიოდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვები¹⁸. მაშინ გამოიცა პირველად პროკლამაციები, სადაც პირდაპირ მოითხოვდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და რუსი ოკუპანტების გასვლას საქართველოდან. ამავე ორგანიზაციის წევრების მიერ 1976 წელს შეიქმნა პირველად საქართველოში „ჰელსინკის კავშირი“, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა¹⁹. მიუხედავად ამ ორგანიზაციის წევრების დევნისა და დაპატიმრებისა, მისი დაშლა - განადგურება კომუნისტებმა ბოლომდე მაინც ვერ შეძლეს.

1980 - იანი წლების ბოლოსკენ, უკვე გორბაჩოვის²⁰ მმართველობის პერიოდში, ცენზურის შერბილებასთან ერთად დისიდენტების მხრიდან დაიწყო აქტიური ეროვნული მოძრაობა. მათ ლიდერებს სწამდათ, რომ საქართველოს მომავალი ევროპაში იყო. „როგორც კი საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდება და

¹⁶ <https://www.radiotavisupleba.ge>

¹⁷ <https://archive.ge/ka/blog/45>

¹⁸ <https://www.radiotavisupleba.ge/a/1979067.html>

¹⁹ <https://www.nplg.gov.ge/>

²⁰ <https://www.britannica.com/>

საკუთარ მთავრობას შეიძენს, ის ევროპისკენ შებრუნდება და შეძლებს თავი დაიმკვიდროს ევროპულ ცივილიზაციაში“- ამბობდა ზვიად გამსახურდია²¹.

საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის ფასდაუდებელი შრომით და ბრძოლით საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა 1991 წლის 26 მაისს²², რამაც დასავლური კურსის აღება და ევროპასთან დაახლოება გამოიწვია. ეს კურსი ედუარდ შევარდნაძის²³ მმართველობის პერიოდშიც არ შეცვლილა, პირიქით, ამ დროს უკავშირდება საქართველოს სხვადასხვა დასავლურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაახლოება და გაწევრიანება. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა მიხეილ სააკაშვილის²⁴ ხელისუფლებამ და ახალგაზრდა რეფორმატორებმა თავიდან სცადეს რუსეთთან ურთიერთობების დალაგება. საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი 2007 წლის ივნისში სანქტ-პეტერბურგში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს²⁵ შეხვდა და დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს. „ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა მოხერხდა. ორ ქვეყანას შორის დაგროვდა საინტერესო და მათ შორის – მწვავე საკითხები. ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს თქვენს გამოსვლებს დიდი რვიანის სამიტზე და მანამდე გამართულ სხვა სამიტებზე. ბუნებრივია, საქართველო არა მხოლოდ მზად არის, არამედ ვალდებულიც არის წარმართოს ნაყოფიერი დიალოგი რუსეთთან. ჩვენ არა მხოლოდ ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს, არამედ უნდა გვქონდეს ყველაზე მეგობრული და ახლო ურთიერთობა. ეს არის რუსეთთან მიმართებით ჩვენი სტრატეგიული მიდგომის ყველაზე მთავარი პრინციპი. ჩვენ უნდა გვქონდეს ახლო და მეგობრული ურთიერთობა, დაფუძნებული ურთიერთპატივისცემაზე, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაზე,“²⁶ - ამბობდა სააკაშვილი პუტინთან შეხვედრაზე. თუმცა აღნიშ-

²¹ ზ. გამსახურდია: ფიქრები საქართველოზე

²² დ.ეცადაშვილი.ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში

²³ https://president.ge/index.php?m=221&president_id=1493

²⁴ https://president.ge/index.php?m=221&president_id=1492

²⁵ <https://www.britannica.com/biography/Vladimir-Putin>

²⁶ <https://www.radiotavisupleba.ge>

ნულმა შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო და საქართველოს ნაწილი გახდა რუსეთის ანექსიის მსხვერპლი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ჩარევამ და მისმა მტკიცე პოლიტიკამ საქართველო იმჟამად იხსნა ფართომასშტაბიანი ომისაგან და ქვეყნის სრული ოკუპაციისგან. ფარდახდელი რუსული პოლიტიკა და 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომი გახდა საფუძველი საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად პლემბისციტში²⁷ მიეღო მონაწილეობა, სადაც უნდა დაეფიქსირებინა მისი შეხედულება საქართველოს NATO - ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პლემბისციტში მონაწილეთა 77%-მა ხმა მისცა ქვეყნის ნატოში გაწევრიანების სურვილს.

2012 წელს მოსული „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკის კურსიც უცვლელი დარჩა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის თვალსაზრისით. მეტიც, საქართველოს კონსტიტუციაშიც კი გაკეთდა ჩანაწერი 78-ე მუხლად - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია²⁸, რაც კონსტიტუციურ ორგანოებს ავალდებულებს მიიღონ ყველა ზომა აღნიშნული მუხლის უზრუნველსაყოფად.

2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლაც ამოქმედდა²⁹. ამ გადაწყვეტილებით ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანაში უვიზოდ მიმოსვლას 180 დღიდან 90 დღის განმავლობაში შეძლებენ საქართველოს მოქალაქეები. ხოლო 2023 წლის 14 დეკემბერს ბრიუსელში ევროპის 27 ქვეყნის ლიდერთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა³⁰.

რა მოგვიტანა ამ მიღწევებმა და რა პერსპექტივები დაუსახა საქართველოს მომავალში?

²⁷ <https://www.matsne.gov.ge>

²⁸ <https://matsne.gov.ge>

²⁹ <https://imednews.ge>

³⁰ <https://1tv.ge>

ჩვენ ვიცით, რომ დღეისთვის ჩვენი მეზობელი თურქეთის ჩათვლით რვა ქვეყანას აქვს ეს სტატუსი მინიჭებული. უპირველეს ყოვლისა ამ აღიარებით ევროკავშირი ცნობს ამ ქვეყნების პერსპექტივას გახდნენ დიდი ევროპული ოჯახის ნაწილი გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ეს პოლიტიკურად უდიდესი ნდობის გამოცხადების დასტურია. გარდა პოლიტიკური მიმართულებისა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ქვეყანას აძლევს ევროკავშირის ფინანსურ რესურსებთან წვდომის საშუალებასაც, ისეთთან, როგორცაა გაწევრიანების წინა ფინანსური ინსტრუმენტი – IPA, რომლის ბიუჯეტიც 14 მილიარდ ევროს შეადგენს. ამ ინსტრუმენტზეა მიხმული ეკონომიკური და საინვესტიციო პროგრამა, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, ანუ EIB-დან, IMF-დან და EBRD-დან 30 მილიარდი ევროს მობილიზებას ითვალისწინებს³¹.

გარდა პოლიტეკონომიკური სარგებლისა, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ ათზე მეტ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში. ბალკანეთის ქვეყნების მაგალითზე ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატის სტატუსი წინაპირობაა ბიზნესის მხრიდან ინვესტიციების მატების. ასევე ამ პოზიციამ საქართველოს მისცა შესაძლებლობა ევროს ერთიანი გადახდის სისტემაში (SEPA) ინტეგრაცია მოახდინოს, რაც 2024 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. კიდევ ერთი ინიციატივა საქართველოს ევროკავშირის ერთიანი როუმინგის სივრცეში ინტეგრაციას უკავშირდება, რის საფუძველზეც, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოგზაურობისას საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ მობილურით ისაუბრონ იგივე ტარიფით, რაც საქართველოში მოქმედებს. კანდიდატის სტატუსი ქვეყანას ეხმარება ასევე გახდეს ტურისტების მიმზიდველი და უსაფრთხო. თუმცა საქართველოს მოსახლეობის სურვილი არამხოლოდ კანდიდატის სტატუსია, არამედ - ევროკავშირის სრული წევრობა.

³¹ <https://bm.ge/news>

მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, როდესაც კოალიციურმა ძალებმა დატოვეს ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა, აზერბაიჯანმა თავისი დაკარგული ტერიტორიები ძალის გამოყენებით დაიბრუნა, რუსეთის ფედერაციამ უკრაინაში ჯარები შეიყვანა, ახლო აღმოსავლეთში ისრაელმა ომი გამოუცხადა ჰამასს, მარტივი გადასაწყვეტი არ არის განჭვრიტო ბიპოლარული სამყაროს რომელ მხარეზე უნდა დადგეს საქართველო. ცხადია დასავლეთმა სხვადასხვა მიმართულებით გარკვეული სისუსტეები გამოავლინა ისეთ გლობალურ საკითხებში, როგორც იყო პანდემიის მართვა, ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარება და რუსეთ - უკრაინის ომთან მიმართებით გადაწყვეტილებების მიღების გაჭიანურებები, თუმცა ამან ყველაფერმა მას უზიძგა გადაეხედა და რეალურად გაეანალიზებინა მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. ახლა უკვე ცხადი გახდა ყველასთვის, რომ 2008 წლის რუსეთის ანექსია საქართველოს ტერიტორიების ნაწილზე ძალების მოსინჯვა იყო დასავლეთის რეაქციის შესასწავლად, რომლის იგნორირებით ევროატლანტიკურმა ქვეყნებმა ხელი შეუწყვეს პუტინის რუსეთს თავისი „მწვანე კაცუნებით“ მისწვდომოდა ყირიმს და აღმოსავლეთ უკრაინას. მათი ოკუპაციის შემდეგ დასავლეთის ხელახალი „წაყრუებით“ გათამამებულმა რუსეთმა მოინდომა მთელი უკრაინის დაუფლება და რომ არა უკრაინელების თავდაუზოგავი და გმირული წინააღმდეგობა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ, დასავლეთი ფაქტობრივად მოუმზადებელი დახვდა რუსული ჯარების ევროპის სუვერენულ ქვეყანაში სრულმასშტაბიან შეჭრას. ამ ბოლო მოვლენამ განგაშის ზარი დასცა ევროპის კონტინენტს, რომელიც ბალკანეთის კრიზისის მოგვარების შემდეგ სრულ მშვიდობაში ცხოვრობდა და რომელიც რუსეთის ბიუჯეტის შევსების ყველაზე მძლავრი წყარო გახლდათ. უკვე გონს მოსულმა ევროპამ მყისიერად დაგმო პუტინის ამბიციური მიზანი და დახმარება აღუთქვა უკრაინას ყველა მიმართულებით. მეტიც, გერმანია და ევროპის რიგი ქვეყნები მივიდნენ დასკვნამდე გაზარდონ სამხედრო ბიუჯეტი და სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა.

პოლუსის მეორე მხარეს დარჩენილი რუსეთი მიეკედლა ისეთ მილიტარისტულ ქვეყნებს, როგორცაა ირანი, ჩრდილოეთ კორეა და ჩინეთი. ცივილიზებული დასავლეთისგან დასაწყობებულ ირანს საშუალება მიეცა ირიბად დაპირისპირებოდა ევროპას და შეერთებულ შტატებს და სამხედრო საშუალებებით დახმარება აღუთქვა რუსეთს, რასაც წარმატებით ახორციელებს დღემდე. ეკონომიკურად დასავლეთზე დამოკიდებულმა ჩინეთმა თავიდან ფარულად, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მოურიდებლად გააფორმა სხვადასხვა სახის სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან. „ჩინეთი, თავის მხრივ, გახდა რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვანი მაშველი რგოლი. პეკინმა გააძლიერა რუსული ნავთობისა და გაზის შესყიდვა, რამაც მილიარდობით დოლარი მისცა მოსკოვის ხაზინას. ჩინეთი მოსკოვს სთავაზობს ომის წარმოებისთვის საჭირო სხვა ტექნოლოგიებსაც, დაწყებული ნახევარგამტარებიდან და ელექტრონული მოწყობილობებიდან, დამთავრებული რადარის და კომუნიკაციების ჩახშობის მოწყობილობებით და რეაქტიული ძრავის ნაწილებით.“³² ჩრდილოეთ კორეამ კი რუსეთს გაუგზავნა 2,5 მილიონზე მეტი საარტილერიო ჭურვი და ბალისტიკური რაკეტები.

არსებულ პირობებში, ისეთი პატარა ქვეყნები, როგორც საქართველოა, იძულებული არიან მიეკედლონ ან ერთ ან მეორე ძალას. მოვლენათა განვითარებამ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შესაძლოა სხვადასხვა პოლუსებზე გადაანაწილოს, რაც არც თუ ისე სახარბიელოა რეგიონისთვის. სომხეთის მხრიდან რუსეთის მიმართ ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ მას უბიძგა დასავლეთში ეძებოს დასაყრდენი. შედეგად მან შეძლო სხვა მიღწევებთან ერთად საფრანგეთთან გაეფორმებინა ხელშეკრულება სამხედრო ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ³³, რამაც აზერბაიჯანის გაღიზიანება გამოიწვია. ეს უკანასკნელი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე კომფორტულად გრძნობს თავს, რადგან მისი დასაყრდენი და სანდო მოკავშირე თურქეთია, რაც უქმნის მას უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს.

³² <https://socialjustice.org.ge/>

³³ <https://armenpress.am/>

საქართველოს შემთხვევაში არსებული ტენდენციები რისკების რაციონალურ ანალიზს საჭიროებს.

დასკვნა

საქართველოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სწორი არჩევანის გაკეთება ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები გვიჩვენებს რამდენად აუცილებელია თანმიმდევრული და პრაგმატული ნაბიჯების გადადგმა უსაფრთხოების ყველა ელემენტის დაცვით. მისასალმებელია, რომ ქვეყანა ინარჩუნებს ევროპულ კურსს, თუმცა არ ამბობს უარს აზიურ ინვესტიციებზე. ჩინეთის მსხვილი ინვესტიორების გამოჩენა ქართულ ბაზარზე არ არის საფრთხე თუ მათთან ურთიერთობების რეგულირება რისკების მინიმუმამდე დაყვანით იქნება შესაძლებელი. მეორეს მხრივ ჩინური მხარის დიდ პროექტებში მონაწილეობა ცალსახად ზრდის ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიებს. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული სიმლიერის ელემენტები (DIME) გამომდინარეობს ოთხი ფაქტორის კომბინაციიდან (დიპლომატია, ინფორმაცია, სამხედრო, ეკონომიკა), ნიშანდობლივია თითოეულ ფაქტორს მიეცეს განსაკუთრებული დატვირთვა, რათა შენარჩუნდეს ქვეყნის ურყევი ნება - ევროპოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით და მეორეს მხრივ საქართველომ არ დაკარგოს ფუნქცია იყოს მიმზიდველი სხვა აქტორებისთვისაც.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ევროპასთან ინტეგრაცია და მის კავშირში გაწევიანება ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანია, რომელსაც სულ ცოტა ამორებს ქვეყანას. არსებული პერსპექტივებიდან გამომდინარე ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით და პრაგმატული ნაბიჯების გადადგმით საქართველოს ეძლევა რეალური შანსი მალე გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ეს მიღწევა იქნება გარანტი ქვეყნის სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარების,

სოციალური ფონის გაუმჯობესების და რაც მთავარია ტერიტორიული გამთლიანების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

ანთაძე გ. საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაცია და კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ.“ 13 ივნისი 2024.

ბრისკუ ა. ასე შორს, და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში:

იდეათა ისტორია.5 მაისი 2017, თბილისი.

გამსახურდია ზ. „მკვახე შეძახილის ექო“, კრებულში: მიწიშვილი, ფიქრები საქართველოზე, გვ. 262.

ეცადაშვილი დ. ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. 2012წ. ბათუმი. დისერტაცია. გვ.133-136.

თაბუკაშვილი ა. რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო. საქართველოს

სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ფონდი. თბილისი.2019წ.

თათარაშვილი თ. ირანული რელიგიები საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი. თბილისი 2015წ.

კაჭარავა ი. და სხვ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები: საქართველო XX საუკუნის 20-30- იან წლებში. თბილისი 1976, გვ.191.

Brisku A. Renegotiating the Empire, Forging the Nation-State: The Case of Georgia through the Political Economic Thought of Niko Nikoladze and Noe Zhordania, c. 1870–1920s, in: Nationalities Papers.

Brisku A. From Berlin 1878 to Tbilisi 2008. Albanian and Georgian Discourses on Jones, Socialism in Georgian Colours [შენ.14], p. 63.

„Erfahrungsraum“ und „Erwartungshorizont“ – zwei historische Kategorien, in: ebd., S. 349–375 - pp. 255-276

<https://www.britannica.com/biography/Nikita-Sergeyevich-Khrushchev>

<https://tinyurl.com/y8sf4am2>

ევროკავშირის გავლენა საქართველოს სტაბილურობის განვითარებაზე

უფროსი სერჟანტი რამინ ებრალიძე
გიორგი ანჭუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის
სამეთაურო-სამტაბო კურსი

აბსტრაქტი

საქართველო, ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, დიდი ხანია არის რუსეთისა და დასავლურ სამყაროს შორის გეოპოლიტიკური ომის კერა. ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირებისკენ, განსაკუთრებით ევროკავშირში (ევროკავშირის) წევრობის მიმართულებით. აღნიშნულ ესეში ვიკვლევთ საქართველოსთვის ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობას, ამ ამბიციის უკან არსებულ ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტს და გავლენას საქართველოს სტაბილურობასა და განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გეოპოლიტიკური ომი, ევროკავშირი, კანდიდატის სტატუსი, სტაბილურობა, განვითარება.

The influence of the European Union on the development of stability in Georgia

Senior Sergeant Ramin Ebralidze

Academy of Sergeants named after Giorgi Ankhelidze
Command and staff course

Abstract

Georgia, a country located at the crossroads of Europe and Asia, has long been the site of a geopolitical war between Russia and the Western world. In recent years, Georgia has taken significant steps towards closer ties with Europe, particularly in its pursuit of membership in the European Union (EU). This essay examines Georgia's status as a candidate for EU membership, the historical and political context behind this ambition, and the implications for Georgia's stability and development.

Keywords: Georgia, geopolitical war, European Union, candidate Status, stability, development.

შესავალი

საქართველო, ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, დიდი ხანია არის რუსეთისა და დასავლურ სამყაროს შორის გეოპოლიტიკური ომის კერა. ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირების დასამყარებლად, განსაკუთრებით ევროკავშირში (ევროკავშირის) წევრობის მიმართულებით. აღნიშნულ ესეში ვიკვლევთ საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსს, ამ ამბიციის უკან არსებულ ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტს და გავლენას საქართველოს სტაბილურობასა და განვითარებაზე.

ძირითადი ნაწილი

ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი

საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან საუკუნეებით თარიღდება, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები მისი ისტორიას ნაწილია. თუმცა, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა გარდამტეხი მომენტი იყო, რადგან საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაიწყო დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისკენ მიმავალი გზა. მიუხედავად ამ ახალმოპოვებული დამოუკიდებლობისა, საქართველო მრავალი შიდა და გარე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის სამოქალაქო არეულობა, ეკონომიკური არასტაბილურობა და მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

2003 წელს ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ ასევე გააგრძელა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ევროკავშირთან. 2012 წლის არჩევნები იყო გადამწყვეტი მომენტი, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე. ახალმა ხელისუფლებამ პრიორიტეტად მიიჩნია ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს. 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან, ღრმა და ყო-

ვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) დაარსებით, რაც ამტკიცებს ევროპასთან მჭიდრო კავშირების ვალდებულებას.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღწევა საქართველოსთვის გადამწყვეტი ეტაპია. ეს სტატუსი მიუთითებს, რომ ქვეყანა აღიარებულია ევროკავშირის პოტენციურ წევრად, ექვემდებარება კოპენჰაგენის კრიტერიუმებს, რომელიც მოიცავს სტაბილურ დემოკრატიულ მმართველობას, ფუნქციურ საბაზრო ეკონომიკას და ევროკავშირის კანონმდებლობის მიღებას (ევროკავშირის კანონმდებლობის ორგანო).

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება სიმბოლოა ევროკავშირის მიერ ევროპულ სტანდარტებთან და ღირებულებებთან შესაბამისობაში მოქცევის ძალისხმევის აღიარების. ის ასევე უზრუნველყოფს მკაფიო საგზაო რუკას საჭირო რეფორმებისთვის და გვთავაზობს ევროკავშირის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, რაც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის.

მნიშვნელობა სტაბილურობისთვის

1. პოლიტიკური სტაბილურობა

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ერთ-ერთი მთავარი უპირატე სობა საქართველოსთვის არის გაძლიერებული პოლიტიკური სტაბილურობის პოტენციალი. ევროკავშირი დიდ აქცენტს აკეთებს დემოკრატიულ მმართველობაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე. ამ სტანდარტების დაკმაყოფილებით დღის წესრიგში დგება დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კორუფციის შემცირება და მმართველობის გაუმჯობესება. ამან, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო მეტ პოლიტიკურ სტაბილურობას და საზოგადოების ნდობას მთავრობაში.

ევროკავშირის მხარდაჭერა ამ სფეროებში ასევე შეიძლება დაეხმაროს გარე აქტორების, განსაკუთრებით რუსეთის გავლენის შერბილებას, რომელიც ისტორიულად ცდილობდა საქართველოს დესტაბილიზაციას და მისი გავლენის სფეროს შე-

ნარჩუნებას. ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს თავისი სუვერენიტეტი და გამძლეობა გარე ზეწოლისგან.

2. ეკონომიკური სტაბილურობა

ეკონომიკური სტაბილურობა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. DCFTA უკვე უზრუნველყოფს ქართული ბიზნესის წვდომას ევროკავშირის ერთიან ბაზარზე, რაც ხელს უწყობს ვაჭრობასა და ინვესტიციებს. კანდიდატის სტატუსის მოპოვება კიდევ უფრო გაზრდის ეკონომიკურ შესაძლებლობებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოზიდვით და უფრო ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნით.¹

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ასევე საჭიროებს სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკური მმართველობის გაუმჯობესებას, სიღარიბის შემცირებას და სოციალური კეთილდღეობის ამაღლებას. ეს რეფორმები გადაწყვეტია ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, ევროკავშირის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას შეუძლია საქართველოს დაეხმაროს ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში, გააუმჯობესოს განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები და ხელი შეუწყოს ინოვაციასა და მეწარმეობას.

3. სოციალური სტაბილურობა

სოციალური სტაბილურობა საქართველოში მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობასთან. ევროკავშირში ინტეგრაცია გვთავაზობს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, განათლებასა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და სოციალური მობილობის გაზრდას. რამდენადაც საქართველო იღებს ევროკავშირის სტანდარტებსა და პრაქტიკას, მას შეუძლია ისარგებლოს გაძლიერებული სოციალური დაცვით, შრომითი უფლებებით და გარემოსდაცვითი რეგულაციებით.

¹ EU Candidate Status – What Does It Mean? EU for Georgia, March 20, 2024. <https://eu4georgia.eu/what-does-the-eu-candidate-status-mean-to-georgia/>.

ევროკავშირის აქცენტი სოციალურ ერთიანობასა და ინკლუზიურობაზე ასევე შეიძლება დაეხმაროს საქართველოს შიგნით ეთნიკური და რეგიონული უთანასწორობის მოგვარებას. პოლიტიკის ხელშეწყობით, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოქალაქის ინტეგრაციას და თანაბარ შესაძლებლობებს, საქართველოს შეუძლია შექმნას უფრო შეკრული და ინკლუზიური საზოგადოება, შეამციროს სოციალური არეულობისა და კონფლიქტის რისკი.

4. უსაფრთხოების სტაბილურობა

უსაფრთხოება საქართველოსთვის უმთავრესი საზრუნავია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ტერიტორიული კონფლიქტების გათვალისწინებით. ევროკავშირში ინტეგრაციას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებაში რეგიონული თანამშრომლობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის გზით. ევროკავშირის ჩართულობამ კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის დამყარების მცდელობებში შეიძლება უზრუნველყოს ამ გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარება დიალოგისა და დიპლომატიის გზით.

გარდა ამისა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიუთითებს კოლექტიური უსაფრთხოების მოწყობის უფრო მტკიცე ვალდებულებაზე, რაც პოტენციურად გაუხსნის გზას ნატოსთან უფრო ღრმა თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ ნატოში გაწევრიანება კვლავ სადავო საკითხია, ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირს შეუძლია გააძლიეროს საქართველოს უსაფრთხოების არქიტექტურა და უზრუნველყოს ბუფერი გარე საფრთხეებისგან.²

5. ქართული არმიის როლი

საქართველოს შეიარაღებული ძალები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ეროვნული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. 2008 წელს რუსეთთან ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური კონფლიქტის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი

² Unlocking Opportunities: The Economic Benefits of EU Candidate Status for Georgia.” ISET. Accessed July 2, 2024. <https://iset-pi.ge/en/blog/3405-unlocking-opportunities-the-economic-benefits-of-eu-candidate-status-for-georgia>.

ძალისხმევა გაიღო თავისი არმიის მოდერნიზებისთვის, თავდაცვის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და ნატოსა და ევროკავშირის სამხედრო სტანდარტებზე მორგებისთვის. ეს მოდერნიზაცია მოიცავს მოწინავე სამხედრო აღჭურვილობის შესყიდვას, მისი ძალების წვრთნისა და მზადყოფნის გაზრდას და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას.

ევროკავშირში ინტეგრაციას შეუძლია შემდგომში ხელი შეუწყოს საქართველოს არმიის განვითარებას ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის მექანიზმებზე წვდომის ხელშეწყობის გზით, მათ შორის ევროპის თავდაცვის ფონდისა და ევროკავშირის სამხედრო მისიებში მონაწილეობით. საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერებამ შეიძლება გააძლიეროს ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობები, შეაჩეროს პოტენციური აგრესორები და ხელი შეუწყოს რეგიონის სტაბილურობას.

რეგიონული სტაბილურობა და რუსული პოლიტიკა

სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკურ დინამიკაზე დიდ გავლენას ახდენს რუსული პოლიტიკა და ინტერესები. რუსეთი რეგიონს განიხილავს, როგორც მისი ტრადიციული გავლენის სფეროს და მუდმივად ეწინააღმდეგება საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტებს, ორივეს მხარს უჭერს რუსეთი, რჩება რა მნიშვნელოვან დაბრკოლებად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და რეგიონული სტაბილურობისთვის.

1. რუსეთის გავლენა და ევროკავშირში ინტეგრაცია

რუსეთის წინააღმდეგობა საქართველოს ევროკავშირისა და ნატოს მისწრაფებების მიმართ გამოვლინდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის პოლიტიკური ზეწოლით, ეკონომიკური სანქციებით და სამხედრო ინტერვენციებით. ევროკავშირში ინტეგრაციის გზით საქართველო ცდილობს შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება და შეუერთდეს დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებსა და ინსტიტუტებს. ამ ცვლილებამ შეიძლება შეასუსტოს რუსეთის ბერკეტები საქართველოზე და ხელი შეუწყოს უფრო დაბალანსებულ და სტაბილურ რეგიონულ წესრიგს.

2. ევროკავშირის როლი რეგიონულ სტაბილურობაში

ევროკავშირის აქვს საკუთარი ინტერესი მის მეზობელ რეგიონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობაში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა (ENP) და აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივის მეშვეობით, ევროკავშირი თანამშრომლობს საქართველოსთან, რათა მხარი დაუჭიროს პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, კონფლიქტების გადაწყვეტას და რეგიონულ თანამშრომლობას. წევრობის მკაფიო გზის შეთავაზებით, ევროკავშირს შეუძლია სტიმული მისცეს საქართველოს გააგრძელოს რეფორმებში ძალისხმევა და წვლილი შეიტანოს რეგიონულ სტაბილურობაში.

3. კონფლიქტების მოგვარება და მშვიდობის მშენებლობა

ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტების მოგვარებისა და სამშვიდობო ძალისხმევებში სამხრეთ კავკასიაში გადამწყვეტია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაჭიანურებული კონფლიქტების მოსაგვარებლად. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) საქართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილზე სიტუაციის მონიტორინგში, ნდობის აღდგენის ღონისძიებების ხელშეწყობაში და კონფლიქტურ მხარეებს შორის დიალოგის მხარდაჭერაში. ევროკავშირის გაძლიერებულ ჩართულობას შეუძლია შექმნას პლატფორმა კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის და ხელი შეუწყოს რეგიონში გრძელვადიან სტაბილურობას.

გამოწვევები და მოსაზრებები

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის პერსპექტივა მრავალ სარგებელს გვთავაზობს, საქართველო ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებში. ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა, კორუფცია და ადამიანის უფლებების დარღვევა, გადამწყვეტი იქნება საქართველოს პროგრესისთვის.

უფრო მეტიც, რეგიონის გეოპოლიტიკური დინამიკა დამატებით გამოწვევებს უქმნის საქართველოს. რუსეთის წინააღმდეგობა საქართველოს ევროკავშირისა და ნატოს მისწრაფებებთან რჩება მნიშვნელოვან დაბრკოლებად. კრემლის გავლენა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც მისი უნარი გამოიყენოს შიდა განხეთქილება საქართველოს შიგნით, მოითხოვს ფრთხილ და სტრატეგიულ მიდგომას.

დასკვნა

საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსი წარმოადგენს გადამწყვეტ ნაბიჯს მის ევროინტეგრაციის გზაზე. ეს სტატუსი არა მხოლოდ საქართველოს ძალისხმევის აღიარებაა, არამედ გზა უფრო მეტი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. ევროკავშირის ღირებულებების მიღებითა და აუცილებელი რეფორმების განხორციელებით, საქართველოს შეუძლია გააძლიეროს თავისი დემოკრატიული ინსტიტუტები, გააძლიეროს ეკონომიკური ზრდა, გააუმჯობესოს სოციალური ერთიანობა და გააძლიეროს თავისი უსაფრთხოების არქიტექტურა.

ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის გზა უდავოდ რთულია, მოითხოვს მდგრად ერთგულებას და გამძლეობას. თუმცა, საქართველოს სტაბილურობისა და განვითარების პოტენციური ჯილდოები ამ მოგზაურობას ღირებულ წამოწყებად აქცევს. რამდენადაც საქართველო აგრძელებს ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზას, ევროკავშირის მხარდაჭერა და ჩართულობა გადამწყვეტი იქნება ქვეყნისა და მისი მოქალაქეებისთვის სტაბილური, აყვავებული და უსაფრთხო მომავლის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა

“EU Candidate Status – What Does It Mean?” EU for Georgia, March 20, 2024.

<https://eu4georgia.eu/what-does-the-eu-candidate-status-mean-to-georgia/>.

“Unlocking Opportunities: The Economic Benefits of EU Candidate Status for Georgia.”

ISET. Accessed July 2, 2024. <https://iset-pi.ge/en/blog/3405-unlocking-opportunities-the-economic-benefits-of-eu-candidate-status-for-georgia>.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

აბსტრაქტი

„ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ დაფუძნდა. გაერთიანების პირველი გაფართოება 1973 წელს მოხდა. 1985 წელს, ხელი მოეწერა „შენგენის ხელშეკრულებას“, რომლითაც ქვეყნებს შორის ადამიანების მიმოსვლის ბარიერი მოიშალა. ერთი წლის შემდეგ, ხელი მიეწერა „ერთიან ევროპულ აქტს“, რომლითაც ევროპულმა პოლიტიკურმა თანამშრომლობამ ინსტიტუციური ხასიათი მიიღო. სწორედ იმ დროს ჩამოყალიბდა ევროპული საბჭო, შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო საპარლამენტო ასამბლეას ოფიციალურად „ეწოდა ევროპული პარლამენტი.“⁴

საქართველო და ევროკავშირი

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა 1992 წელს დაიწყო, როდესაც ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. თავდაპირველად პარტნიორობა ძირითადად ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების კუთხით წარიმართა, თუმცა მოგვიანებით თანამშრომლობა გაღრმავდა და დღეს საქართველო ევროკავშირის ასოცირებული ქვეყანაა, რომელსაც ევროკავშირის ბაზარზე აქვს შეუზღუდავი წვდომა და რომლის მოქალაქეებიც ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლით სარგებლობენ. 1992 წელს, ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო ძირითადად ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების კუთხით. 1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას.⁵

⁴ გიორგი არონია, „როდის და რატომ შეიქმნა ევროკავშირი? - გაერთიანების მოკლე ისტორია“, <https://bm.ge/news/rodis-da-ratom-sheiqmna-evrokavshiri-gaertianebis-mokle-istoria-236648> [გამოქვეყნების თარიღი: 18 დეკემბერი, 2023].

⁵ ვებგვერდი საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, <https://infocenter.gov.ge/eu-georgia/thanamshromlobis-istoria/> [წვდომის თარიღი: 22 მაისი, 2024].

საქართველო-ევროკავშირის ისტორია ითვლის არაერთ მნიშვნელოვან თარიღს, როგორებიცაა: **1996 წელს** პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც წარმოადგენდა ევროკავშირთან თანამშრომლობის პირველ სამართლებრივ ბაზას; **1999 წელს** ევროპის საბჭოში გაწევრიანება; **2004 წელს** ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში გაწევრიანება, რაც საქართველოს ევროკავშირის მეზობელ სახელმწიფოდ აღიარებას მოიაზრებდა; **2009 წელს** საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობაში ჩართვამ, ქვეყანას მისცა საშუალება, რომ **2014 წელს** ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებისათვის, გახსნოდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, ხოლო **2017 წელს** ამოქმედებულიყო უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან (შენგენის სივრცესთან).⁶

2023 წლის 14 დეკემბერს, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.⁷

საქართველოს სწრაფვა გაწევრიანდეს ევროკავშირში (ევროგაერთიანებაში), როგორც კანდიდატი ქვეყანა, გადამწყვეტია მისი სტაბილურობისა და განვითარებისთვის რამდენიმე ფრონტზე;

პოლიტიკური სტაბილურობა: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვება ხშირად გულისხმობს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას, კანონის უზენაესობის გაძლიერებას და ადამიანის უფლებათა სტანდარტების გაუმჯობესებას. ამ ცვლილებებს შეუძლია გააძლიეროს პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოში, გააძლიეროს ნდობა სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ და ხელი შეუწყოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კულტურას.

ეკონომიკური განვითარება: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდას. ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომა, რომელიც ყველაზე დიდია მსოფლი-

⁶ დავით ბუჯიაშვილი, „კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული სარგებელი“, <https://infocenter.gov.ge/blog/kandidatis-statusis-mnishvneloba-da-misi-praktikuli-sargebeli/> [გამოქვეყნების თარიღი: 22 იანვარი, 2024].

⁷ ვებგვერდი საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, <https://infocenter.gov.ge/eu-georgia/#step-1> [წვდომის თარიღი: 17 მაისი, 2024].

ოში, შეუძლია გააძლიეროს საქართველოს ეკონომიკა მისი საქონლისა და სერვისებისთვის უფრო დიდი სამომხმარებლო ბაზის მიწოდებით, ასევე ეკონომიკური მოდერნიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების ხელშეწყობით.

უსაფრთხოება: ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირს შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოს უსაფრთხოებას თანამშრომლობის ხელშეწყობით ისეთ სფეროებში, როგორცაა კონტრტერორიზმი, საზღვრების მართვა და კონფლიქტების მოგვარება. გარდა ამისა, ევროკავშირის სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობამ შეიძლება გააძლიეროს საქართველოს მდგრადობა გარე საფრთხეების მიმართ და ხელი შეუწყოს რეგიონულ სტაბილურობას.

კულტურული და სოციალური ინტეგრაცია: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ხშირად გულისხმობს კანონებისა და რეგულაციების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კულტურული და სოციალური ინტეგრაცია ევროპის ქვეყნებთან. ამ პროცესს შეუძლია ხელი შეუწყოს ადამიანებს შორის კონტაქტებს, საგანმანათლებლო გაცვლებს და კულტურულ თანამშრომლობას, ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებასა და ტოლერანტობას.

საერთაშორისო აღიარება: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებამ ნიშნავს საქართველოს ერთგულებას ევროპული ღირებულებებისა და ნორმებისადმი, აძლიერებს მის საერთაშორისო პოზიციას და სანდოობას. მას ასევე შეუძლია გაზარდოს საქართველოს ხილვადობა გლობალურ სცენაზე, მიიპყროს ყურადღება და მხარდაჭერა სხვა საერთაშორისო აქტორებისგან.

საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ რა სიკეთეებს უნდა ველოდოთ, აღნიშნული სტატუსი რას მოუტანოს ქვეყანას და მის მოქალაქეებს?

ექსპერტები პირველ რიგში ეკონომიკური მხარდაჭერის გაძლიერებას აანონსებენ და ამახვილებენ ყურადღებას კანდიდატის სტატუსის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიული მნიშვნელობაზე როგორც ევროკავშირისთვის, ასევე საქართველოს-

თვის. ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ დაინახავს, რომ ევროკავშირი პატივს სცემს მის არჩევანს, შესაბამისად გაიზრდება ქართული მოსახლეობის ნდობა ევროკავშირის მიმართ.

პოლიტოლოგ ნიკა ჩიტაძის თქმით, საქართველოში ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის სარგებელი ყველა მიმართულებას შეეხება: - „პრაქტიკული გამოხატულება გახლავთ ის, რომ საქართველო მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას ევროკავშირის მხრიდან - კანდიდატი ქვეყნებისთვის განკუთვნილია 14 მილიარდი ევროს გამოყოფა 2023-2027 წლების განმავლობაში. ეს 14 მილიარდი მოხმარდება მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, სასამართლო სისტემის რეფორმას, სხვადასხვა ინსტიტუტების ფუნქციონირებას. გარდა ამისა, შესაძლებლობა იხსნება ევროპულმა კომპანიებმა ინვესტიციები ჩადონ კანდიდატ ქვეყნებში, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაზე. ამასთან, დღეს ქართველი სტუდენტები, მეცნიერ-მკვლევარები ძირითადად ჩასმულნი არიან „ერასმუსის“ პროგრამაში. მაგრამ არის ევროკავშირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიც, სადაც შეუძლიათ, რომ დამატებით ჩაერთონ. შესაბამისად, უფრო მეტი ახალგაზრდა მიიღებს განათლებას ევროპაში, უფრო მეტი ადგილი იქნება განკუთვნილი მათთვის ამ შემთხვევაში“.⁸

„CIPA“-ს (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) ასოცირებული პროფესორი თენგიზ ფხალაძე „რეზონანსთან“ აცხადებს, რომ: - „კანდიდატის სტატუსის მიღება ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ ევროკავშირის გეოპოლიტიკური სივრცის, მაგრამ არა კლუბის წევრი. მხოლოდ ჩვენზე არის დამოკიდებული რამდენად სწრაფად გავხდებით სრულფასოვანი წევრი. გარდა ამისა, არაერთხელ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ რომ ევროკავშირი ეხმარება კანდიდატ ქვეყნებს, რომ ისინი გახდნენ უფრო წარმატებულნი უფრო მეტი რეფორმა განახორციელონ და ა.შ. ჩვენი ამოცანა შემდეგში იქნება გადავიდეთ მოლაპარაკებაზე გაწევრიანების შესახებ და ეს

⁸ რეზონანსი, https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=194853 [გამოქვეყნების თარიღი 11 დეკემბერი 2023]

არის ის მთავარი, რაც უკვე მოგვცემს საშუალებას და წვდომას ძალიან სერიოზულ ფინანსურ დახმარებაზე. მოლაპარაკების დაწყება გულისხმობს წვდომას იმ ფონდებზე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის თავიდან ბოლომდე ტრანსფორმაციას. ხოლო რაც შეეხება გეოპოლიტიკური კუთხით, რუსეთი დაინახავს, რომ ევროკავშირი არ აპირებს მიატოვოს საქართველო. ევროკავშირსაც საკუთარი ინტერესები გააჩნია და ის პატივს სცემს ქართველი ხალხის არჩევანს, აქედან გამომდინარე ანიჭებს საქართველოს კანდიდატის სტატუსს. ეს მინიშნება იქნება რუსეთისთვის, რომ ევროკავშირისთვის საქართველო მნიშვნელოვანია“.⁹

ევროპულ-ქართული ინსტიტუტის ხელმძღვანელის გიორგი მელაშვილის თქმით: - „აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენი თვითმიზანი არა სტატუსის მიღება, არამედ საბოლოო ჯამში, ევროკავშირის წევრობა და სტაბილურ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში ცხოვრება არის. რაც შეეხება კონკრეტულ მონეტარულ სარგებელს, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, არის წვდომა **გაფართოების ფონდებზე**. აქამდე საქართველოს ჰქონდა წვდომა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში იმ ფინანსურ დახმარებაზე, რომელიც გამოყოფილი იყო რამდენიმე ქვეყნისთვის, თუმცა დანამდვილებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ პირდაპირი დაფინანსების გზით გაცილებით მეტი ფული შემოვა საქართველოში და ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ჩართულობა ევროკავშირის პროგრამებში. მაგალითად, **ერასმუსი**, რომელიც აფინანსებს სტუდენტების საზღვარგარეთ განათლების მიღებას და აკადემიურ კვლევებს საქართველოში. რაც შეეხება პოლიტიკურ ბენეფიტებს, ესენია: **ბლოკის წევრობა, მსოფლიოს 27 წამყვანი ქვეყნის მხარდაჭერა და დახმარება ჩვენი ეროვნული ამოცანების მისაღწევად** - იქნება ეს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი; წვდომა ევროკავშირის მშვიდობის ფონდზე, რომელიც რეალურად, თავდაცვისუნარიანობის გაზრდისკენაა მიმართული; მომავალში უფრო

⁹ რეზონანსი, https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=194853 [გამოქვეყნების თარიღი 11 დეკემბერი 2023]

აქტიური მხარდაჭერა ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით, საქართველოს ინტერესების უკეთესი დაცულობა არა მარტო ევროპაში, არამედ გლობალურად“.¹⁰

გამომდინარე აქედან, საქართველოს რეგიონში არა მხოლოდ ტრანზიტული ქვეყნის ფუნქცია აკისრია, არამედ ბევრ სერიოზულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში მოუწევს მონაწილეობის მიღება. ასევე, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი და უსაფრთხო განვითარება გარანტი იქნება გრძელვადიანი სტაბილურობისა სამხრეთ კავკასიაში.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოს სტაბილურობის თვალსაზრისით, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი ბევრ სარგებელს მოუტანს. ევროკავშირის ისეთი ღირებულებების პოპულარიზაცია, როგორცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, მხარს უჭერს საქართველოს საშინაო პოლიტიკასა და ინსტიტუციურ რეფორმებს. გარდა ამისა, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესმა შეიძლება შესთავაზოს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის მეტი შესაძლებლობები, რეგიონული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

თუმცა, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეიძლება იყოს რთული და ხანგრძლივი. საქართველო ღირსეული წევრობისთვის სხვადასხვა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამიტომ ქვეყანას დასჭირდა შიდა რეფორმების დაჩქარება.

დასასრულს, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს სტაბილურობისთვის, მაგრამ ქვეყანამ წარმატებით უნდა დაასრულოს გაწევრიანების პროცესი და განახორციელოს სრულფასოვანი წევრობისთვის აუცილებელი რეფორმები. ეს პროცესი კი თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური გარემოს განვითარებისათვის.

¹⁰ ვებგვერდი ამბები.ge, <https://www.ambebi.ge/article/303301-ras-nishnavs-sakartvelostvis-evrokavshiris-kandidati/> [გამოქვეყნების თარიღი 15 დეკემბერი 2023]

გამოყენებული ლიტერატურა

- გიორგი არონია, „როდის და რატომ შეიქმნა ევროკავშირი? - გაერთიანების მოკლე ისტორია“, <https://bm.ge/news/rodis-da-ratom-sheiqmna-evrokavshiri-gaertianebis-mokle-istoria-236648> [გამოქვეყნების თარიღი: 18 დეკემბერი, 2023].
- დავით ბუჯიაშვილი, „კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული სარგებელი“, <https://infocenter.gov.ge/blog/kandidatis-statusis-mnishvneloba-da-misi-praktikuli-sargebeli/> [გამოქვეყნების თარიღი: 22 იანვარი, 2024].
- ვებგვერდი: ამბები.ge, <https://www.ambebi.ge/article/303301-ras-nishnavs-sakartvelostvis-evrokavshiris-kandidati/> [გამოქვეყნების თარიღი 15 დეკემბერი 2023]
- ვებგვერდი: რეზონანსი, https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=194853 [გამოქვეყნების თარიღი 11 დეკემბერი 2023]
- ვებგვერდი: საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, <https://infocenter.gov.ge/eu/european-union/> [წვდომის თარიღი: 20 მაისი 2024].

საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობა და გაწევრიანების პროცესის გამოწვევები

ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი ჯანიაშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის მსმენელი

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული დინამიური ურთიერთობა, კერძოდ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები. როგორც გადამწყვეტმა მოთამაშემ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, საქართველომ აჩვენა მტკიცე ერთგულება ევროინტეგრაციისადმი და მჭიდრო პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური კავშირები ევროკავშირთან. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ისტორიულ კონტექსტში, რომელიც ასახავს დიპლომატიური კავშირების ევოლუციასა და 2014 წელს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას. თუმცა, გაწევრიანების პროცესი საქართველოსთვის მრავალმხრივ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. გეოპოლიტიკური მოსაზრებები, რეგიონში გადაუჭრელი კონფლიქტები და შიდა რეფორმები ამ დაბრკოლებების განუყოფელი კომპონენტებია. ევროკავშირის გაფართოების სტრატეგიის რთული ბუნება და ყოვლისმომცველი რეფორმების საჭიროება ისეთ სფეროებში, როგორცაა სასამართლო სისტემა და ადამიანის უფლებები - კიდევ უფრო ართულებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზას. ნაშრომი დეტალურად განიხილავს ამ გამოწვევების სირთულეებსა და მათ გავლენას საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე. გარდა ამისა, მასში აქცენტირება ხდება ევროკავშირის როლზე საქართველოში სტაბილურობასა და დემოკრატიის ხელშეწყობაში და გაძლიერებული პარტნიორობის ორმხრივ სარგებელზე. მასში ასევე წარმოდგენილია ევროკავშირის მოლოდინები საქართველოში დემოკრატიული მმართველობის, კანონის უზენაესობისა და ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით და ყურადღებას ამახვილებს იმ ტრანსფორმაციულ გავლენაზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ამ რეფორმებს ქვეყნის სოციალური და ინსტიტუციური სტრუქტურების დონეზე. აკადემიური კვლევების, პოლიტიკის ანალიზისა და მიმდინარე მოვლენების სინთეზზე დაყრდნობით, ნაშრომი იძლევა ყოვლისმომცველ მიმოხილვას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე არსებული სირთულეების შესახებ. იგი მთავრდება ამ გამოწვევების დაძლევის პოტენციური გზების შესწავლითა და საქართველოს ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის გასაძლიერებლად ხაზს უსვამს საქართველოსა და ევროკავშირის მდგრადი ვალდებულებების მნიშვნელობას წარმატებული გაწევრიანების პროცესისთვის.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა, ევროკავშირის მოლოდინები, სტაბილურობა და დემოკრატია.

Georgia's relations with the European Union and the challenges of the accession process

Lieutenant Colonel Irakli Janiashvili

LEPL - Davit Agmashenebeli National Defense Academy of Georgia
Student of the Defense Analysis Master's Program

Abstract

The mentioned paper presents the dynamic relationship between Georgia and the European Union, in particular, the challenges related to the process of Georgia's accession to the European Union. As a key player in the South Caucasus region, Georgia has demonstrated strong commitment to European integration and close political, cultural and economic ties with the European Union. The paper examines the historical context of Georgia-EU relations, reflects the evolution of diplomatic ties and the signing of the Association Agreement in 2014. However, the accession process presents many challenges for Georgia. Geopolitical considerations, unresolved conflicts in the region and internal reforms are integral components of these obstacles. The complex nature of the EU's enlargement strategy and the need for comprehensive reforms in areas such as the judiciary, governance and human rights make Georgia's path to EU membership even more difficult. The paper examines in detail the complexities of these challenges and their impact on Georgia's European aspirations. In addition, the paper highlights the EU's role in promoting stability and democracy in Georgia, while recognizing the mutual benefits of an enhanced partnership. It examines the EU's expectations of Georgia in terms of democratic governance, rule of law and economic reforms, and focuses on the transformative impact these reforms could have on the country's social and institutional structures. Based on a synthesis of academic research, policy analysis and current events, the paper provides a comprehensive overview of the challenges facing Georgia's EU accession path. It concludes by exploring potential ways to overcome these challenges and strengthen Georgia's pursuit of European integration, emphasizing the importance of sustained commitment by Georgia and the EU for a successful accession process.

Keywords: European Union, democratic governance, rule of law, EU expectations, politics and democracy.

შესავალი

თანამედროვე საქართველოს განვითარების, წინსვლისა და ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ მთავარ გარანტს წარმოადგენს მისი ევროინტეგრაცია. ქვეყნის ევროპულ ბაზარზე გასვლა და დამკვიდრება, ევროპულ ღირებულებებთან გაერთიანება და ჩართვა ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოსთვის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო ალტერნატივაა. სწორედ ამიტომ, უკვე არაერთი წელია, საქართველო ცდილობს გაწევრიანდეს ევროკავშირში, რაც რეალურს გახდის ყველა ზემოაღნიშნული საკითხის განხორციელებას და დაეხმარება ქვეყანას წინსვლაში, თუმცა ამ გზაზე ცხადია, საქართველოს არაერთი გამოწვევა ხვდება, რაც მოიცავს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებსაც. ევროკავშირში შესვლისთვის კი აუცილებელია მათი სწორად იდენტიფიცირება, შერბილება და სრულად აღმოფხვრაზე მუშაობა. მოცემულ ნაშრომში პასუხი გაეცემა სწორედ ისეთ მთავარ აქტუალურ შეკითხვებს, როგორებიცაა: რა ფაქტორები წარმოადგენს საქართველოსათვის ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მთავარ გამოწვევას? და რა კონკრეტული გზებით ან საშუალებებით არის შესაძლებელი ამ უკანასკნელის გამოსწორება ან შერბილება?

ევროკავშირი, როგორც დასავლური ღირებულებების მატარებელი ორგანიზაცია, თავისი თითოეული წევრი სახელმწიფოსგან მაქსიმალურად მოითხოვს ამ ღირებულებების გათავისებასა და საკუთარი ქვეყნის საჯარო ინსტიტუტებში დანერგვას, ისევე, როგორც ამ ყველაფრის მოქალაქეებამდე მიტანას. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაშიც, ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს სწორედ ის ფაქტი, რომ შიდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები და სოციალური მდგომარეობა არ არის შესაბამისი ევროკავშირის სტანდარტებთან, რის გამოც საქართველო გაწევრიანებას შეძლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ყველაფერს გამოასწორებს. ეს სწორედ იმის გამო, რომ ევროკავშირი გარდა იმისა, რომ წარმოადგენს დასავლური და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელ საერთაშორისო ორგანიზაციას, იგი უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკაზე ორიენტირებული გაერთიანებაა, რომელში

გაწევრიანებაც ავტომატურად მის თავისუფალ სავაჭრო სივრცესა და ბაზარზე დამკვიდრებას ნიშნავს, სწორედ ამიტომ ისინი ფრთხილად უდგებიან თითოეული სახელმწიფოს გაწევრიანებას, რადგანაც ერთი მხრივ მიღებული სახელმწიფო თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობითა და იდეოლოგიით წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ევროკავშირის იდეოლოგიასა და მოთხოვნებთან, ხოლო მეორე მხრივ კი უნდა იყოს თავისუფალი და უსაფრთხო სახელმწიფო, რომელზეც რუსეთს ან სხვა გარეშე ფაქტორებს გავლენა არ ექნება და უსაფრთხო იქნება ევროპული ქვეყნებისთვის მასთან თანამშრომლობა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მთავარ გამოწვევას 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება და რუსეთის გავლენების შემცირება წარმოადგენს, რის შემდეგაც საქართველოს აქვს დიდი შანსი შეუერთდეს ევროკავშირს.

ძირითადი ნაწილი

ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება

ევროკავშირი არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გარკვეული პირობები და მოთხოვნები ახალი ქვეყნის თავის რიგებში გასაერთიანებლად. ამიტომ საქართველოს მხრიდან გეგმის, დარჩენილი 9 პუნქტის შეუსრულებლობა ხელისშემშლელი ფაქტორია ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში და საჭიროა მათი ნაბიჯ-ნაბიჯ ეფექტურად შესრულება. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ უნდა იქნას, რომ 2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინას შორის ომის დაწყების შემდეგ, საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ განაცხადი გააკეთეს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

გარკვეულწილად, შესაძლოა ითქვას, რომ ეს იმიტაც იყო განპირობებული, რომ დასავლეთი საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთთან დათმობა და არ გაღიზიანების პოლიტიკა არ მუშაობს და მისი აგრესიის მართვა ამ მეთოდებით შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, ამ სამ ქვეყანასთან ურთიერთობები საკმაოდ დაახლოვდა. განაცხადის გაკეთებიდან მალევე, ევროკომისიამ საქართველოს რეკომენ-

დაციის სახით წარუდგინა 12 პუნქტიანი პრიორიტეტული ამოცანა, გზამკვლევი, სადაც გაწერილია ყველა ის მოთხოვნა თუ რეფორმა, რაც საქართველომ უნდა გაატაროს, რათა მოხდეს მისი ევროკავშირში გაწევრიანება. კერძოდ:

1. პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრა;
2. ხელისუფლება გაითვალისწინებს ეუთო-ოდირის, ევროპის საბჭოსა და ვენეციის კომისიის დასკვნებს საარჩევნო სისტემაზე;
3. უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მთლიან და ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობას;
4. საქართველო გააძლიერებს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობას და ეფექტიანად გამოიძიებს ელიტური კორუფციის შემთხვევებს;
5. აღმოფხვრის იმ გადაჭარბებულ ზეგავლენას, რომელიც პირად ინტერესებს აქვთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაზე;
6. გააძლიერებს ბრძოლას ორგანიზებულ დანაშაულთან და ეფექტიანად გამოიძიებს სამართალდარღვევებს, სამართალდამცავი ორგანოები იქნება ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე;
7. სამართალწარმოება მედიასაშუალებების მფლობელების წინააღმდეგ უპასუხებს უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებს;
8. სასწრაფოდ დაიცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს (იგულისხმება ქალები, ბავშვები, შშმ პირები, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობები);
9. გააერთიანებს ძალისხმევას გენდერული თანასწორობისთვის და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად;
10. ჩართავს სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა დონეზე;
11. მიიღებს კანონს, რომელიც უბიძგებს ქართველ მოსამართლეებს, „პროაქტიურად გაითვალისწინონ საკუთარ მსჯელობებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებები“ და

12. ახალ სახალხო დამცველად დაინიშნება დამოუკიდებელი ადამიანი. დანიშვნა იქნება გამჭვირვალე, მისი სამსახური - ზეგავლენებისგან თავისუფალი¹.

2022 წელს ოფიციალური ბრიუსელის მიერ საქართველოსთვის ზემოაღნიშნული მოთხოვნების წარდგენის შემდეგ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა საქართველოსთან მიმართებაში განაცხადა, რომ „კარი ღიაა და ახლა ჯერი მასზეა“². ევროკომისიის პრეზიდენტის ეს განცხადება მთლიანად ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას ევროპამ სრულად გაულოკარი. შესაბამისად, ახლა ყველაფერი ქვეყნის მოქმედებებზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზედმიწევნით შეასრულებს იგი დასავლეთის მოთხოვნებს, რადგანაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ მოთხოვნების წარდგენიდან უკვე თითქმის ორი წელი სრულდება, საინტერესოა, რამდენად მოხდა ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული რეკომენდაციების დაკმაყოფილება, რა რეფორმები გატარდა და რამდენად მიუახლოვდა საქართველო ევროკავშირში გაწევრიანებას. კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შემდეგ, 2022 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, სრულად შესრულებულად მხოლოდ სამი პრიორიტეტული ამოცანა ჩაითვალა. კერძოდ, მე-9, მე-11 და მე-12 პუნქტები, რომლებიც მოიაზრებდა ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებისა და სახალხო დამცველის არჩევის რეკომენდაციებს³. ცხადია, მხოლოდ ამ სამი მოთხოვნის შესრულება საკმარისი არ აღმოჩნდა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, რის გამოც

¹ გვინდაძე, ს. „ევროკომისიის 12 მოთხოვნა მოკლედ - რა უნდა გააკეთოს საქართველომ, EU-ს კანდიდატის სტატუსის მისაღებად“. რადიო თავისუფლება. (2022). <https://www.radiotavisupleba.ge/a/31902732.html> (გადამოწმებულ იქნა 07.07.24);

² იქვე

³ „ევროკომისიის შეფასების მიმოხილვა (12 პრიორიტეტის შესრულება და ახალი დათქმები)“. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი. (2023). https://idfi.ge/ge/review_of_the_european_commission_s_assessment_implementation_of_the_12_priorities_and_new_conditions (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24).

მოცემული ეტაპისთვის ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციისგანაც თავი შეიკავა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 2023 წელს ევროკომისიამ მაინც გასცა რეკომენდაცია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რაც მალევე განხორციელდა. ცალსახად, აღნიშნული ქმედება ევროკავშირის მხრიდან კიდევ ერთი უდიდესი დადასტურებაა იმისა, რომ იგი მზადაა საქართველოს თავის რიგებში მისაღებად და გარკვეული ინტერესებიც გააჩნია. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი საკითხებისა, რომელიც საქართველომ აუცილებლად უნდა მოაგვაროს, რათა გაიხსნას მოლაპარაკებების ფანჯარა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის დასაწყებად. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ სწორედ ამ მიზნით, ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ, ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას ახალი რეკომენდაციებიც გადასცა, რომელშიც არსებული 12-პუნქტიანი მოთხოვნებიდან ნაწილობრივ განხორციელებული 9 პრიორიტეტის გარდა, ახალი რეკომენდაციაცაა წარმოდგენილი. მაგალითად, დამატებულია საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერების საკითხი⁴. ასევე, მოცემულ დათქმებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და სამართლიანი, თავისუფალი, კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის პირდაპირი მოწოდება, აგრეთვე ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაახლოების მოთხოვნა და სხვა⁵.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული 122 გვერდიანი დოკუმენტი მოიცავს 119 რეკომენდაციას საქართველოსთვის, რომელიც წარმო-

⁴ ნამჩავაძე, ბ. „კანდიდატის სტატუსი და ახალი რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკისთვის“. Forbes Georgia. (2023). <https://forbes.ge/kandidatis-statusi-da-akhali-rekomendatsiebi-saqarthvelos-ekonomikisthvis/> (ბოლოდ გადამოწმებულ იქნა 07.07.24);

⁵ „ევროკომისიის შეფასების მიმოხილვა (12 პრიორიტეტის შესრულება და ახალი დათქმები)“. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი. (2023), (ბოლოდ გადამოწმებულ იქნა 07.07.24) https://idfi.ge/ge/review_of_the_european_commission_s_assessment_implementation_of_the_12_priorities_and_new_conditions (ბოლოდ გადამოწმებულ იქნა 07.07.24);

ადგენს საგზაო რუკას ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ გაცემული რეკომენდაციების აბსოლიტური უმრავლესობა ეკონომიკური ხასიათისაა, რამდენადაც ევროკავშირი უმეტესად სწორედ ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა - „ევროკავშირი პირველ რიგში მისი წევრი ქვეყნების საერთო ეკონომიკური სივრცეა“⁶. აქედან გამომდინარე, იგი საქართველოს მხრიდან ეკონომიკის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკების ევროპულ მოდელთან დაახლოვებას მოითხოვს. ამასთან, მთელი ეს ეკონომიკური რეკომენდაციები იყოფა ორ ძირითად მიმართულებად: 1. ფუნდამენტები გაწევრიანების პროცესისთვის და 2. წევრობის ვალდებულებების შესრულების უნარი⁷, რაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად.

ამდენად, იმისთვის, რომ მოხდეს ევროკავშირში საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრაცია, საჭიროა საქართველოს მთავრობის მხრიდან გადადგმული მყისიერი და ზედმიწევნით გაწერილი ნაბიჯები, რათა შესრულდეს ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გარეშეც საქართველო ვერ გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კანდიდატის სტატუსის მინიჭებაც დასავლეთის მხრიდან საკმაოდ დიდი დათმობა იყო საქართველოსთან მიმართებაში, რამდენადაც მას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია 2022 წელს მიცემული მოთხოვნების უმრავლესობა. ამის ბრწყინვალე მაგალითია მეზობელი თურქეთი, რომელმაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ჯერ კიდევ 1999 წელს მიიღო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 წელზე მეტი გავიდა, 2024 წლის მდგომარეობით იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და მეტიც, მათ შორის მოლაპარაკებები გაყინულია. აქედან გამომდინარე, თურქეთის ეს მაგალითი ქმნის ერთგვარ პრეცედენტს იმისა,

⁶ იხ. 4 ნაშთავაძე;

⁷ იხ. 4 ნაშთავაძე;

რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ ნიშნავს ავტომატურ გარანტს გაწევრიანებისთვის.

სწორედ ამიტომ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანებისას ჯერ კიდევ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ევროკომისიის მოთხოვნები, რომელთა დიდი ნაწილიც 2024 წლისთვისაც არ არის შესრულებული, ამ გამოწვევის შერბილება კი შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის მხრიდან შესაბამისი რეფორმების გატარებითა და ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების ნაბიჯ-ნაბიჯ შესრულების საშუალებით.

რუსეთის ფაქტორი

საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს, რამდენადაც გაწევრიანების შემთხვევაში, რუსეთი კარგავს გავლენებს საქართველოს მიმართ, რის გამოც მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს ევროინტეგრაციას, რისთვისაც იყენებს რბილი ძალისა თუ მუქარის სხვადასხვა ინსტრუმენტს. მისი პროპაგანდა და საინფორმაციო ომი კვლავ აქტუალური საკითხია. ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები ნეგატიურად აისახება ქვეყნის ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე.

რუსეთის ფედერაცია თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი აგრესორი და იმპერიალისტური იდეოლოგიის მატარებელი სახელმწიფოა, რომლის მთავარ მიზანსაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საკუთარი განლენების შენარჩუნება წარმოადგენს, რისთვისაც იგი არ ერიდება არც რბილი და არც ხისტი ძალის გამოყენებას. მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია საქართველოსა და უკრაინის ევროინტეგრაციის საკითხები, რამდენადაც კრემლი სწორად იაზრებს, რომ თუ საქართველო და უკრაინა გახდებიან ევროკავშირის წევრები, შემდეგ ისინი NATO-ს წევრობასაც მოინდომებენ, რაც საბოლოო ჯამში მათზე რუსული გავლენების მთლიანად დაკარგვას გამოიწვევს, თანაც ისე, რომ მისი აღდგენა ვეღარც მოხერხდება, როგორც ეს მოხდა პოლონეთისა და ბალტიისპირა რესპუბლიკების შემთხვევაში.

სწორედ ამიტომ, რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში არის ის, რომ არ დაუშვას საქართველოსა და უკრაინის ევროინტეგრაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როგორც თავად საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისთვის ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოვება მიუღებელია, ეს მაინც უნდა განხორციელდეს. როგორც ზურაბიშვილი France 24-სთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „საუკეთესო თავდაცვა ევროკავშირის სოლიდარობაა. საუკეთესო თავდაცვა ჩვენს საზოგადოებასთან, ჩვენს ოჯახთან ყოფნაა. რასაც ვხედავთ ისაა, რომ საბოლოო ჯამში, რუსეთისთვის წითელი ხაზი ევროკავშირისა და ნატოს ხაზია. სწორედ ეს უნდა ჩემს ქვეყანას, ეს უნდა მოსახლეობას. ახლახან გამოქვეყნდა საზოგადოებრივი გამოკითხვა, სადაც ჩანს, რომ საზოგადოების მხარდაჭერა ევროკავშირისადმი 80%-დან 86%-მდე გაიზარდა“⁸. საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ამის გაცხადება ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ფაქტორის გავლენა ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე საკმაოდ რეალურია და მისი დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთიანი, ქართული და ევროპული თანამშრომლობით.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების სპეციალისტის ემილ ავდალიანის განცხადებით, რუსეთის დამოკიდებულება ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით ისეთივე მტრულია, როგორც სხვა ორგანიზაციებთან მიმართებაში. უკრაინის ამჟამინდელი შეიარაღებული კონფლიქტი კი სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის მხრიდან ერთგვარი მცდელობა, შეაჩეროს მისი ევროინტეგრაციის პროცესები. ამასთან დაკავშირებით ავდალიანი წერს: „მოსკოვი ასევე არ შეიცვლის აზრს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. რუსეთი ევროკავშირის გაფართოებას არანაკლები აგრესიულობით უყურებს, ისევე, როგორც ნატოს საკითხს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2014 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში

⁸ „რუსეთისათვის წითელი ხაზი ევროკავშირისა და ნატოს ხაზია, საუკეთესო თავდაცვა ევროკავშირის სოლიდარობაა - სალომე ზურაბიშვილი“. News Hub. (2023). <https://bitly.cx/EiZD> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24);

დაწყებული ომი არ იყო ნატოს გაფართოებით გამოწვეული, არამედ კიევის ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების შედეგი იყო⁹. აქვე ავდალიანი დასძენს, რომ „ილუზია, რომ რუსეთი საქართველოს ევროკავშირში მიღების წინააღმდეგი არ იქნება - არ არის სწორი... როგორი დადებითი დამოკიდებულებაც არ უნდა იყოს მოსკოვში თბილისის მიმართ, კრემლი მაინც შეეცდება საქართველოს ევროკავშირზე ოფიციალურად უარი ათქმევინოს“¹⁰. ავდალიანის ამ პოზიციის სისწორე ვლინდება იქიდანაც, რომ რუსეთის აგრესია უკრაინაში, ისევე, როგორც მანამდე საქართველოში, რომ აღარაფერი ითქვას მის მიერ რბილი ძალის მეთოდების გამოყენებაზე, როგორცაა საინფორმაციო ომი თუ სხვადასხვა სახის ანტიდასავლური დეზინფორმაციის გავრცელება, გამოწვეულია სწორედ ევროინტეგრაციის პროცესების შესანელებლად. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ თავად რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც ევროკავშირის გაფართოვების შესაძლებლობას საკმაოდ მტრულად აფასებს და საკუთარი აგრესიული ქმედებების გამართლებას იმით ახდენს, რომ ეს არის რუსეთის პასუხი დასავლეთის მხრიდან აღმოსავლეთში გაფართოებასთან დაკავშირებით და არსებული მოსაზრებები იმაზე, რომ რუსეთი დადებითად შეხვდება საქართველოს ევროკავშირში შესვლას, ცხადია სიცრუეა.

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს ამტკიცებს საგარეო პოლიტიკის საბჭოს მკვლევარ გიგა ჯოხაძის სტატიაც, სადაც, როგორც იგი აცხადებს, 2021 წელს შვეიცარიის ნეიტრალურ ტერიტორიაზე გაიმართა ჟენევის სამიტი, სადაც ამერიკული დელეგაცია შეხვდა რუსულს, რომელშიც თავად ვლადიმირ პუტინიც მონაწილეობდა, რა დროსაც პუტინმა ოფიციალური ვაშინგტონი აგრესიულ ექსპანსიონიზმში პირდაპირ დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება იწვევს რუსეთისათვის „სასიცოცხლო სივრცის“ უხეშ შეზღუდვას, რასაც

⁹ ბენდელიანი, კ. „ემილ ავდალიანი - ევროპაში სამიტების სერიამ კიევს და განსაკუთრებით მოსკოვს ტრანსატლანტიკური საზოგადოების ერთობა უჩვენა, ამერიკა ისევ ლიდერია, რომელიც ყველა საკითხზე მუშაობს ევროპელ და აზიელ მოკავშირეებთან“. ჯეოქეისი. (2022). <https://bitly.cx/FUKx> (ბოლოს გადამოწმებული იქნა 07.07.24);

¹⁰ იქვე;

კრემლის მხრიდან ლოგიკური ნაბიჯები მოჰყვებოდა¹¹. საინტერესოა ის გარემოება, რომ პუტინის ამ განცხადებებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, 2022 წლის დასაწყისშივე რუსეთმა ომი დაიწყო უკრაინაში. ეს არის სწორედ იმის ნათელი გამოვლინება, რომ კრემლი არ ერიდება არც რბილი და არც ხისტი ძალის გამოყენებას ევროკავშირის აღმოსავლეთში გაფართოების ხელის შესაშლელად, რადგანაც თუ 2022 წელს უკვე სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო რუსეთმა უკრაინასთან ამის მისაღწევად, 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას რუსეთის მხრიდან ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება მოჰყვა, თუმცა, რადგან მიზანს ვერ მიაღწიეს და უკრაინამ განაგრძო დასავლეთთან დაახლოვება, 2022 წელს რუსეთმა კიდევ უფრო გადამჭრელ ზომებს მიმართა მის შესაჩერებლად. უკრაინის ეს მაგალითი საკმაოდ კარგად აღწერს უშუალოდ საქართველოს მდგომარეობასაც და იმ ფაქტსაც, რომ რუსეთი მზადაა უკიდურეს მეთოდებს მიმართოს ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოების პრევენციისთვის.

შესამჩნევი ფაქტია ისიც, რომ რუსეთის ფედერაცია აქტიურად იყენებს ოკუპაციას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შეფერხებისთვის. 2008 წლის აგვისტოს ომი სწორედ რუსული ძალების დემონსტრირებას წარმოადგენდა დასავლეთისთვის, რითაც კრემლს სურდა დაემტკიცებინა, რომ შეემდლო საკუთარი ინტერესების გატარება ამ რეგიონში და საქართველოს ტერიტორიაზე თვითაღიარებული დე-ფაქტო რესპუბლიკების ჩამოყალიბება (იგულისხმება აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“). შესაბამისად, 2008 წლის ომი და მისი შედეგები, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული ბაზები, ცხადია, დიდ გამოწვევას ქმნის ევროინტეგრაციის გზაზე. აქედან გამომდინარე, ყოველივე ეს რუსეთის ფედერაციას საშუალებას აძლევს ერთგვარად საკუთარი ძალების დემონსტრირება მოახდინოს დასავლეთის წინაშე და გაგზავნოს გამაფრთხილებელი მესიჯი, რომ საჭიროების შემთხვევაში მას ბაზები საქართველოშიც აქვს. გარდა ამისა, საქართველოში

¹¹ ჯოხაძე, გ. „ჟენევის სამიტი: მოლოდინები და რეალობა“. The Foreign Policy Council. (2021). <https://foreignpolicycouncil.com/2021/06/17https://foreignpolicycouncil.com/2021/06/17/> (ბოლოს გადამოწმებული იქნა 07.07.24);

მოქმედი რუსული რბილი ძალა, პროპაგანდა და ანტიდასავლური დეზინფორმაციები ასევე ცუდად აისახება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე, რაც ასევე კრემლის მიერ საქართველოში წარმოებული საინფორმაციო ომის შედეგს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, რუსეთის ფაქტორი დიდია ამ შემთხვევაში და იგი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით, რომლის შერბილებაც შესაძლებელია მხოლოდ ევროპულ სახელმწიფოებთან მეტად დაახლოებითა და რუსული გავლენების საქართველოში შემცირებით.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შანსები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, რუსეთის ფაქტორი საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საქართველოს შანსებზე ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რის გამოც არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს არ აქვს ევროკავშირში გაწევრიანების შანსი და კანდიდატის სტატუსის მიცემით დასავლეთმა მხოლოდ მისი პრორუსულ მხარეს გადასვლის პრევენცია მოახდინა. არსებული მოთხოვნების შესრულება და რუსეთის გავლენის შემცირება კი ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირში შესვლას, რასაც ამტკიცებს ის, რომ ევროკავშირმა საქართველოს მოთხოვნების ორი სია წარუდგინა, რათა დროში გაჭიანურდეს მისი გაწევრიანების საკითხი. რაღა თქმა უნდა, კანდიდატის სტატუსის მიღება უკვე საკმაოდ დიდი ნაბიჯია ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან ევროკავშირთან დაახლოვების გზაზე, თუმცა როგორც მეზობელი თურქეთის მაგალითიც მოწმობს, ეს გაწევრიანების გარანტს არ წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ანტიდასავლური იდეოლოგიის მომხრეები, როგორცაა მაგალითად ალტ-ინფო, ხშირად აცხადებენ, რომ მართალია საქართველომ მიიღო კანდიდატის სტატუსი, მაგრამ იგი არ გახდება წევრი, მსგავსად თურქეთისა.

ამ მოსაზრებების გაბათილებისთვის აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და თურქეთის მოცემულობები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. პირველ რიგში, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას საგრძნობლად

შეუძლია შეცვალოს ორგანიზაციაში არსებული ძალთა ბალანსი, საქართველოს შემთხვევაში კი ეს ასე არაა. გარდა ამისა, ევროკავშირში თურქეთის შესვლა ფაქტობრივად ახალ გზას უხსნის სირიიდან, ერაყიდან და ახლო აღმოსავლეთიდან წამოსულ მილიონობით მიგრანტს პირდაპირ შენგენის ზონისკენ, რაც ასევე არაა დასავლეთის ინტერესებში. სწორედ ამიტომ, ევროკავშირი ბოლო მოცემულობით, გაცილებით უფრო დიდ მზაობას გამოთქვამს საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით, ვიდრე თურქეთის შემთხვევაში, სადაც მოლაპარაკებები გაიყინა. ამასთან ერთად, თურქეთის ორგანიზაციაში შესვლის დროში გაჭიანურება ნამდვილად სამაგალითო უნდა იყოს საქართველოსთვის, რადგან ეს გამოიწვია არა იმან, რომ ევროკავშირს არ სურდა თავდაპირველად თურქეთის მიღება, არამედ იმ ფაქტმა, რომ თურქეთი არ ასრულებს დასავლეთის მოთხოვნებს, უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები, დაცული არ არის უმცირესობათა უფლებები, ამასთან ერთად კი ერდოღანის დიქტატორული რეჟიმი წინააღმდეგობაში მოდის დასავლურ, ევროპულ ღირებულებებთან. ეს და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი და რაც მთავარია, თურქეთის მხრიდან ევროპული მოთხოვნების არ გათვალისწინება იწვევს იმას, რომ იგი რამდენიმე დეკადის განმავლობაში მხოლოდ კანდიდატად რჩება და ვერ მოახერხა წევრობის მიღება. საქართველოსთვის ეს ნამდვილად სამაგალითოა, რათა მსგავსი პრეცედენტი თავიდან იქნას აცილებული, საჭიროა დროული და მყისიერი რეფორმები, ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლისთვის, გაწევრიანება კი გარდაუვალი იქნება, რადგან სწორედ ამას ამტკიცებს სახალხო გამოკითხვებიც და დასავლელი პარტნიორების პოზიციებიც. ამიტომ საჭიროა დასავლეთის მოთხოვნათა ხარისხიანად შესრულება.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შანსები რეალურია, რასაც მოწმობს კანდიდატის სტატუსის მინიჭებაც, თუმცა, იმისათვის, რომ საქართველო წევრი სახელმწიფო გახდეს, სხვა ქვეყნების მსგავსად მანაც უნდა შეასრულოს დასავლეთის მოთხოვნები, რათა არ განმეორდეს თურქეთის სცენარი და ათწლეულობით არ გაიწელოს მოლაპარაკებები.

დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსათვის ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს ევროკომისიის მიერ მოცემული მოთხოვნების შესრულების საკითხი და რუსეთის ფაქტორი, რაც მართალია ხელს უშლის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, თუმცა, შესაძლებელია ამ ყველაფრის შერბილება ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერებით. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, შესასრულებელი მოთხოვნები ევროკომისიამ საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ 2022 წელს გადასცა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლისთვის 12 მოთხოვნიდან მხოლოდ 3 იყო შესრულებული, მათ მაინც მიანიჭეს ქვეყანას კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, რაც მოწმობს ევროკავშირის მზადყოფნასა და ღიაობას საქართველოსთან მიმართებაში. თუმცა, უშუალოდ გაწევრიანებისთვის აუცილებელია ევროკავშირის მოთხოვნების ზედმიწევნითი შესრულება, რაც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ამ ეტაპზე, რისი შერბილება შესაბამისი რეფორმებით იქნება შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორიც, რადგანაც კრემლი მაქსიმალურად ცდილობს, როგორც რბილი, ისე ხისტი ძალის გამოყენებით, რომ არ დაუშვას ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთ ევროპაში, უმეტესად საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, რამდენადაც ეს ამ ქვეყნებში მისი გავლენის დაკარგვას განაპირობებს, თუმცა, ამ გამოწვევის შერბილება ასევე შესაძლებელია ევროკავშირთან ურთიერთობების გაძლიერებითა და სახელმწიფოს შიგნით რუსული გავლენების მაქსიმალური შემცირებით, რასაც დასავლეთის მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებასთან ერთად საბოლოოდ მოჰყვება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბენდელიანი, კ. „ემილ ავდალიანი - ევროპაში სამიტების სერიამ კიევს და განსაკუთრებით მოსკოვს ტრანსატლანტიკური საზოგადოების ერთობა უჩვენა, ამერიკა ისევ ლიდერია, რომელიც ყველა საკითხზე მუშაობს ევროპელ

და აზიელ მოკავშირეებთან“. *ჯეოქეისი*. (2022). <https://bitly.cx/FUKx> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24)

გვინდაძე, ს. „ევროკომისიის 12 მოთხოვნა მოკლედ - რა უნდა გააკეთოს საქართველომ, EU-ს კანდიდატის სტატუსის მისაღებად“. *რადიო თავისუფლება*. (2022). <https://www.radiotavisupleba.ge/a/31902732.html> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24)

„ევროკომისიის შეფასების მიმოხილვა (12 პრიორიტეტის შესრულება და ახალი დათქმები)“. *IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ცენტრი*. (2023).

[https://idfi.ge/ge/review of the european commission s assessment implementation of the 12 priorities and new conditions](https://idfi.ge/ge/review%20of%20the%20european%20commission%20s%20assessment%20implementation%20of%20the%2012%20priorities%20and%20new%20conditions) (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24)

ნამჩავაძე, ბ. „კანდიდატის სტატუსი და ახალი რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკისთვის“. *Forbes Georgia*. (2023). <https://forbes.ge/kandidatis-statusi-dakhalirekomendatsiebi-saqarthvelos-ekonomikisthvis/> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24)

„რუსეთისათვის წითელი ხაზი ევროკავშირისა და ნატოს ხაზია, საუკეთესო თავდაცვა ევროკავშირის სოლიდარობაა - სალომე ზურაბიშვილი“. *News Hub*. (2023). <https://bitly.cx/EiZD> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24)

ჯოხაძე, გ. „ქენეის სამიტი: მოლოდინები და რეალობა“. *The Foreign Policy Council*. (2021). <https://foreignpolicycouncil.com/2021/06/17>

<https://foreignpolicycouncil.com/2021/06/17/> (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24)

„The European Union and Turkey“. *Delegation of the European Union to Türkiye*. (2021). https://www.eeas.europa.eu/turkey/european-union-and-turkey_en?s=230 (ბოლოს გადამოწმებულ იქნა 07.07.24)



**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 30 52 85

ტელეფონი: +995 5 77 19 92 05

ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge

მირაჟი: 30

ISBN-978-9941-8-6897-9